ახალი განათლება

9 – 15 ივნისი

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№22 (736) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

MCC მთავარ ორიენტირს ხარისხზე აკეთებს

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს მიერ, საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოების გასაცნობად, მედიატური მოეწყო. მოვინახულეთ სამი სოფლის – ქარელის რაიონის კეხიჯვრისა და ბებნისის და გორის რაიონის ხიდისთავის საჯარო სკოლები. ვიდრე უშუალოდ ამ სკოლების ამბებზე გადავალ, მკითხველს მინდა შევახსენო, რომ ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი კომპაქტით (გრანტით) განსაზღვრულია საჯარო სკოლების სასწავლო გარემოს გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვა და მოვლა-პატრონობის სისტემის შემუშავება-დანერგვა.

პროექტის შედეგად მოხდება საჯარო სკოლების სასწავლო გაზის სრული რეაბილიტაცია, საერთო სარგებლობის ობიექტებისა და კომუნიკაციების რეკონსტრუქცია. პირველი სარეაბილიტაციო სეზონი მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში 30-მდე საჯარო სკოლას მოიცავს, ხოლო მომავალი სამი წლის განმავლობაში 100-მდე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია იგეგმება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. შესაბამისად, პროექტის შედეგად, გაუმჯობესდება სასწავლო გარემო და განათლებისადმი ხელმისაწვდომობა 37 ათასზე მეტი ბენეფიციარისთვის, ხოლო პირველი სარეაბილიტაციო სეზონი 10 ათასზე მეტ ბენეფიციარს მოიცავს.

რა კრიტერიუმებით შეირჩა სარეაბილიტაციოდ სკოლები და როგორ განისაზღვრა სტანდარტი – ამის შესახებ, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს დირექტორმა მაგდა მაღრაძემ გვითხრა, რომ საქართველოში არსებული სკოლები ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ დაქირავებულმა ამერიკულმა კომპანიამ შეაფასა: *„ჩამოყალიბდა კრიტერიუმები და პირველი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც სკოლების შეფასება ხდება, ბენეფიციართა რაოდენობაა, შემდეგ – ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, ასევე, იმის განსაზღვრა, რამდენად დიდია სოციალურად შეჭირვებული ოჯახების რაოდენობა იმ რეგიონში და ა.შ. შემდეგ, ყოველგვარი სუბიექტური ფაქტორების გამორიცხვით, შემთხვევითი შერჩევის კრიტერიუმებით მოხდა სკოლების იდენტიფიცირება. დასათვალიერებლად დაგეგმილი სკოლებიც, ბენეფიციართა რაოდენობის მხრივ, მართლაც დიდი სკოლებია, სადაც მაქსიმალურად თვალსაჩინო იქნება ამ ინვესტიციის სარგებელიც.*

გვერდი 4

ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა

გვერდი 5

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ახალი, 2017-2023 წლების, ეროვნული სასწავლო გეგმის პრეზენტაცია გამართა, რომელიც 2017-2018 სასწავლო წლიდან ამოქმედდება და მისი დანერგვა დაწყებითი საფეხურით (I-IV კლასები) დაიწყება.

ეროვნული სასწავლო გეგმა საბაზისო დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს, რა, როდის და როგორ უნდა ისწავლებოდეს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. კერძოდ, განსაზღვრავს: სწავლა-სწავლების მიზნებსა და საგანმანათლებლო პრინციპებს; ძირითად მეთოდიკურ ორიენტირებს; საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებას; მოსწავლის შეფასების სისტემას; სავალდებულო და არჩევით საგნებს; საგანთა სწავლის მიზნებსა და შინაარსს; საათობრივ ბადეს, ანუ საგანთა კვირეულ განაწილებას; ინკლუზიური განათლების პრინციპებს და ა.შ.

ღონისძიება განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ გახსნა. რევიზირებული ეროვნული სასწავლო გეგმის სიახლეებსა და პრიორიტეტებზე ვრცლად ისაუბრეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა და ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსმა ნათია ჯოხაძემ.

მეთორმეტკლასელთა გამოსაშვები გამოცდებისა და ეროვნული გამოცდების ნახევრად ელექტრონული ფორმატის აპრობაციის შესახებ გვესაუბრება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი

„გაცილებით მეტი დრო, წლის განმავლობაში, სწორედ შედეგების ინტერპრეტაციას უნდა დავუთმოთ, აღმოვაჩინოთ ის ფაქტორები, რომლებიც გამოსასწორებელია, ასევე, ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მოსწავლეების მიღწევებზე და რა არის გასაკეთებელი, რითი შეიძლება შეიცვალოს ვითარება. შემდეგ, თუ სწორი ნაბიჯები გადაიდგმება, ბუნებრივია, გამოცდებზეც მივიღებთ შესაბამისად გაუმჯობესებულ შედეგებს.“

გვერდი 2

კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

კავკასიის უნივერსიტეტი (კავკასიის სამართლის სკოლა)

აცხადებს კონკურსს

პროფესორის (5 ვაკანტური ადგილი) და ასოცირებული პროფესორის (3 ვაკანტური ადგილი) თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ დისციპლინებში:

- კერძო სამართალი (1 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი);
- საჯარო სამართალი (2 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი);
- სისხლის სამართალი (1 პროფესორი);
- საერთაშორისო სამართალი (1 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი).

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) პროფესორისთვის

- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 6-წლიანი გამოცდილება;

ბ) ასოცირებული პროფესორისთვის

- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

- კურსის/კურსების სილაბუსი/სილაბუსები;
- CV-რეზიუმე;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (საზღვარგარეთ დაცული ხარისხის შემთხვევაში, ავთენტურობაზე საჭირო დოკუმენტაცია, ხოლო საქართველოში დაცული ხარისხის შემთხვევაში – დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლები);
- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:

I ეტაპი – წარმოდგენილი დოკუმენტების გადარჩევა;
II ეტაპი – პრეზენტაცია;
III ეტაპი – კონკურსის შეჯამება.

დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, გამოაგზავნოთ მითითებული დოკუმენტები, შემდეგ მისამართზე: hr@cu.edu.ge

გთხოვთ, საგნის დასახელების ველში მიუთითოთ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის და დისციპლინის სახელწოდება!

საბუთების მიღება: 2016 წლის 9 ივლისიდან – 9 აგვისტოს ჩათვლით

კავკასიის უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, გადაამოწმოს თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია. დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან.

გამოცდები — 2016

მეთორმეტკლასელთა გამოსაშვები გამოცდებისა და ეროვნული გამოცდების ნახევრად ელექტრონული ფორმატის აპრობაციის შესახებ გვესაუბრება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი

მივიღოთ დიაგნოზი, როგორიც არის, რაც უნდა მტკივნეული იყოს

– როგორ შეაფასებთ მეთორმეტკლასელთა საატესტატო გამოცდების შედეგებს?

– წელს, რატომღაც, გახანგრძლივდა საუბარი ამ თემაზე და გაჩნდა კითხვები იმასთან დაკავშირებით, რომ წელს გაცილებით უარესი შედეგი იყო, ვიდრე წინა წელს. მე ასე ტრაგიკულად და დრამატულად ნამდვილად არ ვუყურებ, მიუხედავად იმისა, რომ გამოიკვეთა ორი საგანი – მათემატიკა და უცხო ენა, სადაც იმ მოსწავლეების რაოდენობა, რომლებმაც კომპეტენციის მინიმალური ზღვარი ვერ გადალახეს, უფრო მეტი იყო, ვიდრე, მაგალითად, შარშან. თუმცა, გვახსოვს წლები, მაგალითად 2011 წელი, როდესაც უარესი შედეგი გვქონდა. ასე რომ, სურათი წლიდან წლამდე იცვლება და დრამატული სხვაობა ნამდვილად არ დაფიქსირებულა. გაისად, შეიძლება, ამ კუთხით, უკეთესი შედეგი გვქონდეს, შემდეგ წელს – უარესი, მაგრამ ერთი შეგვიძლია ვთქვათ ერთმნიშვნელოვნად, რომ ვითარება გაუმჯობესებული არ არის, რაც, თავისთავად, ძალიან სამწუხაროა. დაახლოებით, 2900-მდე მოსწავლე, რომელიც რეგისტრირებული იყო ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, გამოეთიშა ამ პროცესს იმიტომ, რომ ერთ-ერთ საგანში ვერ მოახერხა ბარიერის (მინიმალურზე მინიმალური) გადალახვა. მე თუ მკითხავთ, ასეთი მოსწავლე 2900 კი არა, 200-იც რომ გვყავდეს ან 50, რა თქმა უნდა, ძალიან გულსატკენია.

გულსატკენია იმიტომ, რომ გამოსაშვებ გამოცდებზე ბარიერი გვაქვს ისეთი, რომ ბარიერსაც კი ვერ დაარქმევ – 5 ქულიდან იწყება ათვლა და 5,5 უნდა გადალახოს მოსწავლემ, გამოცდა რომ ჩაბარებულად ჩაეთვალოს. ჩვენ, შეგნებულად, მინიმალურზე მინიმალურ სტანდარტზე ვაკეთებთ აქცენტს. ამ წლების განმავლობაში, არ მოგვეცა შესაძლებლობა, რომ ბარიერი ოდნავ მაინც აგვეწია, იმიტომ რომ, თუ ოდნავ მაინც აიწევა ბარიერი, ბევრი მეთორმეტეკლასელი დარჩება ატესტატის გარეშე. როცა გვყავს გარკვეული რაოდენობა მოსწავლეებისა, რომლებიც მინიმალურზე მინიმალურ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებენ, ეს ყოველი ჩვენგანისთვის უნდა იყოს დამაფიქრებელი და გულსატკენი. აქედან გამომდინარე, ვერაფრით ვერ ვიტყვი, ისევე როგორც შარშან, რომ ჩვენი მოსწავლეების შედეგები დამაკმაყოფილებელია.

მთავარი და მნიშვნელოვანი ერთი რამეა, ამასაც მინდა ხაზი გავუსვა, საუბარი მაშინ კი არ უნდა დავიწყოთ და აჟიოტაჟი კი არ უნდა შევქმნათ, როცა კონკრეტული საგამოცდო პერიოდი დასრულდება, ამას მანამდე სჭირდება კარგი დაფიქრება – რა არის გამოსასწორებელი ამ მიმართულებით, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ არასახარბიელო შედეგი არ მივიღოთ. როგორც წესი, მთელი წელი გაჩუმებულები ვართ, ჩატარდება გამოცდა, მივიღებთ კონკრეტულ შედეგს და მერე გვიკვირს, რატომ გვაქვს ასეთი შედეგი. რატომ გვაქვს და ამ თემაზე მხოლოდ გამოცდის შედეგებით საუბარი სწორი არ არის. გამოცდას თავისი მიზნები აქვს, კონკრეტულად გამოსაშვები გამოცდა ტარდება იმისათვის, რომ გაიცეს საშუალო განათლების ატესტატი, მაგრამ რატომ არის, მაგალითად მათემატიკაში, საგნის სწავლების კუთხით მსგავსი ვითარება, ამაზე, რა თქმა უნდა, საგანმანათლებლო კვლევები გაგვცემენ პასუხს. მე პირადად მგონია, რომ გაცილებით მეტი დრო, წლის განმავლობაში, სწორედ შედეგების ინტერპრეტაციას უნდა დავუთმოთ, აღმოვაჩინოთ ის ფაქტორები, რომლებიც გამოსასწორებელია, ასევე, ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მოსწავლეების მიღწევებზე და რა არის გასაკეთებელი, რითი შეიძლება შეიცვალოს ვითარება. შემდეგ, თუ სწორი ნაბიჯები გადაიდგმება, ბუნებრივია, გამოცდებზეც მივიღებთ შესაბამისად გაუმჯობესებულ შედეგებს.

სამწუხაროდ, უნდა ვთქვა, რომ ვითარება უკეთესობისკენ არ შეცვლილა, მაგრამ იმას, რომ გაცილებით უარესი სურათი გვაქვს, არ ვეთანხმები.

– თუ არის სკოლები, სადაც ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ გადალახა ბარიერი და ისეთები, სადაც ყველა წარმატებული მოსწავლეა, მაგალითად, რუსთავის სკოლას ჰყავს წარმატებული მოსწავლეები

– მირჩევნია, პოზიტივზე ვისაუბროთ. რუსთავის მე-4 საჯარო სკოლა მხოლოდ გამოსაშვები გამოცდების შედეგებით არ გამოირჩევა, ეს არის სკოლა, რომელსაც მართლაც ძალიან კარგი წარმატებები აქვს, მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით – იქნება ეს ოლიმპიადები, გამოსაშვები გამოცდები თუ აბიტურიენტთა წარმატებები. ნამდვილად სასიხარულოა, რომ ამ სკოლის ოთხმა მოსწავლემ ყველა საგანში უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. გვყავს ისეთი მოსწავლეებიც, რომლებმაც რვავე საგანში უმაღლესი შეფასება მიიღეს, რა თქმა უნდა, ეს ძალიან სასიამოვნოა. რაც შეეხება სკოლებს, რომლებსაც ცუდი შედეგები ჰქონდათ, მათი დასახელებისგან ნამდვილად შევიკავებ თავს, რადგან მიმაჩნია, რომ ამ კუთხით სკოლების რეიტინგი გამართლებული არ იქნებოდა. ყველა სკოლამ იცის საკუთარი შედეგი და, ბუნებრივია, ეს მათი პასუხისმგებლობაა, ამიტომ უნდა დაფიქრდნენ, რატომ ვერ ახერხებენ მათი მოსწავლეები ისეთი შედეგის ჩვენებას, როგორიც საჭიროა. სამწუხაროდ, არის სკოლები, სადაც სრულიად არასახარბიელო ვითარებაა.

ჩვენ სკოლების წარმატება-წარუმატებლობის სტატისტიკას არ ვაკეთებთ, ასეთი ინფორმაცია უფრო განათლების სამინისტროს უნდა აინტერესებდეს. როდესაც რაღაც კონკრეტულ აქტივობას ვასრულებთ, რაც არ არის კონფიდენციალური, მთლიან ბაზას გადავცემთ Emis-ს. განათლების სამინისტროს შეუძლია, ბაზის მონაცემები სხვადასხვა ჭრილში, სტატისტიკურად დაამუშაოს, როგორც სურს და რა მხრივაც აინტერესებს. რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ, რეგიონების მიხედვით, რა ვითარებაა, უბრალოდ ეს არც არის ჩვენი ინტერესების სფერო.

– როგორია ზოგადი სურათი – ქალაქის სკოლებში უკეთესი მდგომარეობაა თუ რეგიონების?

– კვლევის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, განსხვავება ნამდვილად არის. ქალაქის სკოლებში უკეთესი ვითარებაა, თუმცა არც აქაა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, მაგრამ სერიოზული განსხვავებაა ისევე, როგორც საჯარო და კერძო სკოლებს შორის – კერძო სკოლებში შედარებით უკეთესია.

ძალიან კარგი იქნებოდა, ამ საგანმანათლებლო კვლევის შედეგები კიდევ უფრო დეტალურად განხილულიყო, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, სამინისტროს მხრიდან და საზოგადოებაც აუცილებლად უნდა დაინტერესდეს. ტრაგედია გვექმნება, მაინც და მაინც, გამოცდების შემდეგ და მანამდე არ ვფიქრობთ, სასურველი შედეგი რომ მივიღოთ, რა არის გამოსასწორებელი.

გამოცდები — 2016

კვლევების შედეგებს თუ დავეყრდნობით, წარმატებული მოსწავლეების რაოდენობის მხრივ, ზოგადად, სკოლებში არასახარბიელო ვითარებაა. სახელმწიფო შეფასების შედეგებიც გვაქვს და როცა საუბარია იმაზე, რომ, მაგალითად მათემატიკაში, მოსწავლეთა 30% დაბალი საფეხურის მიღმაა, ეს ნიშნავს, რომ უმარტივეს, დაბალი საფეხურისთვის განკუთვნილ დავალებსაც ვერ ძლევენ. საბუნებისმეტყველო საგნებში კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებელია. მოდით ეს კომენტარის გარეშე დავტოვოთ. ამას მიხედვა სჭირდება და არა მხოლოდ გამოცდებით.

მათემატიკა და საბუნებისმეტყველო საგნები ნამდვილად პრობლემური იყო და, სამწუხაროდ, რჩება. თუ Timss-ის კვლევის შედეგებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ მეოთხე კლასში უკეთესი ვითარება გვაქვს, გაცილებით უარესი – მერვე კლასში. ეს რას ნიშნავს? დასკვნა ხომ უნდა გამოვიტანოთ. ჩვენ მოვახერხეთ და მოსწავლეებს ეს საგნები შევაძულეთ. დაწყებით კლასებში მოსწავლეები მოტივირებულები არიან, უფრო განწყობილები იმისათვის, რომ ისწავლონ რამე ახალი. მერე, რაც უფრო ზემოთ ავდივართ, ვახერხებთ, რომ მოსწავლეს დავაკარგინოთ ყველანაირი ინტერესი ამ საგნების მიმართ. აქედან გამომდინარე, ეს პრობლემა სერიოზული მისახედია. სამწუხაროდ, ვითარება ასეთია.

ეს ყველაფერი მისაღებ გამოცდებზეც აისახა, იმ თვალსაზრისით, რომ აბიტურიენტების რაოდენობა, ვინც არჩევით საგნად, მაგალითად, ირჩევს მათემატიკას ან საბუნებისმეტყველო საგნებს, დრამატულად მცირდება. ქიმიას და ფიზიკას ისედაც აბიტურიენტების მცირე რაოდენობა ირჩევდა. როცა დავიწყეთ ეროვნული გამოცდები, მათემატიკაში ტესტის სამი ვარიანტი გვჭირდებოდა, პირველი წელია, როცა მხოლოდ ერთი ვარიანტი გვაქვს, იმდენად შემცირდა აბიტურიენტების რაოდენობა, ვინც მათემატიკას აბარებს. რა თქმა უნდა, არაფერს ვერჩი გეოგრაფიას, ისტორიას და ჰუმანიტარულ საგნებს, მაგრამ იქ იზრდება აბიტურიენტების რაოდენობა, სამაგიეროდ, დრამატულად მცირდება მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში. ესეც რაღაცაზე მიუთითებს, არა? ამ დროს კი ვაცხადებთ, რომ ეს მიმართულებები პრიორიტეტია ქვეყნისთვის, პრიორიტეტულობა უნდა გულისხმობდეს იმას, რომ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ, აუცილებლად დავინახოთ რეალური სურათი, მივიღოთ დიაგნოზი, როგორიც არის, რაც უნდა მტკივნეული იყოს (დიაგნოზის გარეშე მკურნალობა წარმოუდგენელია) და დავიწყოთ ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარების გამოსწორება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სულ ასე ვიქნებით. ეს ხომ მოსწავლის, აბიტურიენტის ბრალი არ არის. ამას ძალიან სერიოზული და, რაც მთავარია, სისტემური მიდგომა სჭირდება, ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინება და აღმოჩენა, სად გვაქვს პრობლემა, რომელიც გავლენას ახდენს ჩვენი მოსწავლეების მიღწევებზე. ეს არის, რა თქმა უნდა, მასწავლებლების კვალიფიკაცია, სახელმძღვანელოები, სასკოლო რესურსები, ოჯახი, მიკროგარემო და უამრავი ფაქტორი, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს მოსწავლეების მიღწევებზე. კვლევები სწორედ ამის საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ, სად არის ყველაზე დიდი პრობლემა და პირველ რიგში რა უნდა გამოსწორდეს, მიზანმიმართულად რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

2005 წლიდან ვმონაწილეობთ წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში (Pirls), რომელიც, მე თუ მკითხავთ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კვლევაა იმიტომ, რომ უნარი, რომელიც ამ კვლევის საგანია, კრიტიკული მნიშვნელობისაა. თუ 9-10 წლის მოზარდს სათანადოდ არ აქვს ჩამოყალიბებული კითხვის უნარი, მას მართლა სერიოზული პრობლემები ექნება შემდეგ საფეხურებზე და აქ საუბარია არა მხოლოდ ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო საგნებზეც. მაგალითად, როდესაც ბავშვს მათემატიკაში ამოცანის პირობა არ ესმის, ვერ ხსნის ამოცანას, ვერ იაზრებს, რას ეკითხებიან. წაკითხულის გააზრება აუცილებელი და მნიშვნელოვანი უნარია და ამას უნდა მიექცეს ყურადღება. კვლევის პირველ ციკლში ძალიან ცუდი შედეგები ვაჩვენეთ, მეორე ციკლში გაუმჯობესებული იყო, რა თქმა უნდა, არადამაკმაყოფილებელი, მაგრამ, წინა ციკლთან შედარებით, გაუმჯობესებული. საინტერესოა, რატომ მოხდა ეს. ანგარიშის, რომელიც კვლევის დასრულების შემდეგ მომზადდა, მნიშვნელოვანი ნაწილია რეკომენდაციები (ეს ჩვენი ვალდებულებაა, როცა ვამზადებთ ნაციონალურ ანგარიშს). ბევრმა არასამთავრობო ორგანიზაციამ კონკრეტული აქტივობები დაგეგმა. მაგალითად, იყო ასეთი რეკომენდაცია – კითხვის გაკვეთილის შემოტანა ეროვნულ სასწავლო გეგმაში, ცალკე კითხვის გაკვეთილი და არა, დავუშვათ, ინტეგრირებული ქართული ენის გაკვეთილთან. ამ კუთხით, ძალიან ბევრ სკოლასთან იმუშავეს და მიზანმიმართულმა აქტივობებმა შედეგი გამოიღო, რომელიც კიდევ უფრო მეტად უნდა გავაუმჯობესოთ. ჩვენ თუ მხოლოდ იმით დავკავდებით, რომ ვიძახებთ, პრიორიტეტულია მათემატიკა და საბუნებისმეტყველო საგნები, მაგრამ ვივიშვიშებთ მხოლოდ გამოცდების შედეგების შემდეგ, ვითარება არ გამოსწორდება, თუ არ გაუარესდა. მაგალითად Timss-ის კვლევაში, წინა ციკლში (ახლაც მივიღეთ მონაწილეობა, მაგრამ შედეგები ცოტა მოგვიანებით გვექნება), რიგ შემთხვევაში, ვითარება გაუარესებულიც გვაქვს. თუ ამას ისევ თაროზე შემოვდებთ და არაფერს ვიმოქმედებთ ამ მიმართულებით, შემდეგ წელს იგივე ვითარება დაგვიდგება და დავიწყებთ ვიშვიშს, რატომ არის ასეთი შედეგები.

ძალიან კარგად ვიცით, რომ დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვისაც იყვანენ მშობლები რეპეტიტორებს. ისინიც გამოცდებისთვის ხომ არ ემზადებიან? აქედან გამომდინარე, სკოლას დღესაც ძალიან უჭირს და გამოცდების შედეგების განხილვით არ უნდა დავიწყოთ ამ თემაზე საუბარი.

– როგორც წესი, ხშირ შემთხვევაში, წარუმატებლობის მიზეზად ტესტების სირთულე სახელდება...

– ამას ვერაფრით ვერ იტყვიან გამოსაშვებ გამოცდებზე, აქ არარელევანტურია ამ კითხვის დასმა. ეს კითხვა შეიძლება დავსვათ, მაგალითად, მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით, რადგან, ყოველწლიურად ტესტების ახალი ვარიანტი დგება და რაც არ უნდა მცდელობა გვქონდეს (და ამას ვაკეთებთ მთელი წლის განმავლობაში), რომ საშუალო სირთულესთან მიახლოებული ტესტი გამოგვივიდეს და განსხვავება არ იყოს წინა წლისა და წლევანდელ ტესტს შორის, მაინც შეიძლება გვითხრან – კი ეცადე მთელი წელი, მაგრამ მაინც რთული გამოგივიდა. კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირების შემთხვევაში, ეს პრეტენზია სრულიად არარელევანტურია, იმიტომ რომ, რა სირთულის დავალება მოუვა კონკრეტულ მოსწავლეს, მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. თუ ის მხოლოდ მარტივ დავალებებს პასუხობს და ვერ ართმევს თავს საშუალო სირთულის ან რთულ დავალებებს, არ მოუვა რთული დავალება, იტრიალებს მარტივი და უმარტივესი დავალებების ბლოკში. თუ კარგად ართმევს თავს დავალებებს, რა თქმა უნდა, მაშინ პროგრამა, ავტომატურად, ეტაპობრივად ურთულებს დავალებებს. ასე რომ, გავიმეორებ, როგორი სირთულის დავალება მისდის, ეს მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულ მოსწავლეზეა დამოკიდებული. რას გულისხმობს ბარიერი? თითოეულ მოსწავლეს, საშუალოდ, 40 დავალება მისდის (ზოგს შესაფასებლად მეტი დავალება სჭირდება, ზოგს – ნაკლები) და, უმარტივესი დავალებების ბლოკიდან, 15-ს მაინც უნდა უპასუხოს, რომ გადალახოს ბარიერი. გულსატკენია ნამდვილად, როდესაც მეთორმეტეკლასელს არ აქვს იმის ცოდნა, რომ ისეთი ტიპის დავალებას გასცეს სწორი პასუხი მათემატიკაში, მაგალითად, როგორიც არის: 37-ის 5-ზე გაყოფით ნაშთი რა რჩება. როდესაც მეთორმეტეკლასელი მსგავს შეკითხვაზე არასწორ პასუხს იძლევა საუბარია ხუთზე გაყოფადობაზე, რაზე ვსაუბრობთ, სულ რომ ათი ბავშვი იყოს ასეთი ან თუნდაც ორი?!

აპრობაციის მიზანი – პროცესის გამოცდა

– ჩატარდა ერთიანი ეროვნული გამოცდების ნახევრად ელექტრონული ფორმატის აპრობაცია. გავრცელებული ინფორმაციით, შედეგები არც აქ იყო კარგი...

– მე აქ შედეგებზე არ ვიმსჯელებდი. ჯერ ერთი, არც ვიცი, გულწრფელად გეტყვით, როგორი შედეგებია. ჩვენთვის ეს საინტერესო ნამდვილად არ არის. პირველი იმიტომ, რომ უნარების არასრული ტესტი შევთავაზეთ, დავალებების გამოცდაზე იყო საუბარი და უფრო მოკლე ტესტი იყო, ვიდრე რეალურად გვაქვს გამოცდაზე, აბიტურიენტებს სამუშაოდ 2 საათი ჰქონდათ მიცემული და არა 3 საათი. გეოგრაფიაშიც ახალი დავალებების გამოცდას ისახავდა მიზნად, ეს არ არის ტესტის ზუსტი ფორმატი, რომელიც საგამოცდოდ გამოიყენება. ამ აპრობაციას კიდევ ის დატვირთვა ჰქონდა, შინაარსობრივი კუთხით, რომ იქ იქნება ისეთი დავალებები, რომლებიც არ ივარგებს, არ იმუშავებს, იქნება ისეთიც, რომელსაც კორექტირება დასჭირდება და იქნება კარგი დავალებებიც, დიდი იმედი მაქვს. ასე რომ, ეს მნიშვნელოვანი იყო ჩვენი სამუშაოსთვის, თუმცა, რა თქმა უნდა, მოსწავლეებმაც მიიღეს გარკვეული გამოცდილება. პილოტირებას უფრო ის დატვირთვა ჰქონდა, რომ გაგვევლო გენერალური რეპეტიცია, როგორი იქნებოდა თვითონ პროცესი. სერიოზული დატვირთვა ექნებათ იმ ადამიანებს, ვინც საგამოცდო ცენტრებში არიან, ვგულისხმობ ცენტრის ადმინისტრატორს და კოორდინატორს, თანაშემწეს, IT სპეციალისტს და ა.შ. – როგორ მოხდება ჩვენი აპლიკანტების მომსახურება, დაწყებული რეგისტრაციიდან საგამოცდო დროის ამონურვამდე, უკვე ახალი შეთავაზებული სქემით. ამის გამოცდა იყო ჩვენი მთავარი მიზანი. რამდენიმე სისტემა გამოვცადეთ, რადგან ყველაზე ეფექტური გვინდოდა აგვერჩია. აქედან გამომდინარე, მოსწავლეებს ცოტაოდენი დისკომფორტიც კი შვუქმენით – ერთი სისტემიდან მეორეზე რომ გადავდიოდით, ელექტრონული ბუკლეტის მიწოდებასთან დაკავშირებული პატარა შეფერხებები იყო. თუმცა, ეს აუცილებელი იყო, რომ რეალურ ვითარებაში გამოგვეცადა. ძალიან მნიშვნელოვანი დღე იყო, შევთანხმდით და შევარჩიეთ კონკრეტული სისტემა, რისი მეშვეობითაც მოვემსახურებით ჩვენს აპლიკანტებს გამოცდებზე.

– როგორი იყო აბიტურიენტების განწყობა, ხომ არ იგრძნობოდა გარკვეული ღელვა ან დაბნეულობა?

– დაბნევით არც ერთი აპლიკანტი არ დაბნეულა. ყველას ვეკითხებოდი, რამდენად მისაღები იყო ეს სიახლე. მაგიდის ფორმაც კი შევცვალეთ, იმიტომ რომ, აბიტურიენტი თავისუფლად მჯდარიყო მუშაობის დროს. საგამოცდოდ მაგიდები, საკმარისი არ აღმოჩნდა, ამიტომ ორი მაგიდის კომბინაციით მოვუწყვეთ სამუშაო სივრცე და მგონია, რომ ძალიან კარგად გამოგვივიდა.

რაც შეეხება თავად ელექტრონულად ტესტური დავალებების კითხვას, არც ერთ აბიტურიენტს არ გამოუთქვამს პრეტენზია, რომ გაუჭირდა ეკრანზე დავალების წაკითხვა. ჯერ ერთი, შრიფტია გაზრდილი, ბეჭდვის დროს 12-იან ან უფრო ნაკლებ შრიფტს ვიყენებდით, აქ, მინიმუმ, 16-იანი შრიფტია, რიგ შემთხვევაში – 20-იანიც. ამასთანავე, ბუნებრივია, იქ, სადაც სასურველია, ტესტური დავალებები ფერადი იყოს, ფერებსაც მაქსიმალურად ვიყენებთ. ასე რომ, აღქმადობის თვალსაზრისით, ჩემი აზრით, პირიქით, ძალიან ნორმალური იყო.

– თუ ჩაეტიენ განსაზღვრულ დროში აბიტურიენტები?

– უნარებისთვის, გავიმეორებ, სამი საათის ნაცვლად, ორი ჰქონდათ მიცემული იმიტომ, რომ ტესტი მოკლე იყო, მაგალითად, წაკითხულის გააზრების ნაწილი იყო ამოღებული მთლიანად. დროში ჩაეტიენ, ბევრი ადრეც კი გამოდიოდა.

რაც შეეხება რეალურ გამოცდებს, აპრობაციების შედეგად დადგინდა, რომ დროის მომატება არც ერთ შემთხვევაში არ არის საჭირო. მიუხედავად ამისა, მცირედით, მაგრამ მაინც დავამატეთ საგამოცდო დრო, მაგალითად, ქართულ ენასა და ლიტერატურაში აბიტურიენტებს 15 წუთი დაემატათ, იმიტომ რომ, იქ არის დავალება – ტექსტის რედაქტირება, როდესაც ეს დავალება ნაბეჭდ ბუკლეტში იყო, იქვე შეეძლოთ რაღაცების მონიშვნა, რისი შესაძლებლობაც ეკრანზე არ აქვთ. ტექსტი მცირე ზომისაა, მაგრამ ზოგიერთ აბიტურიენტს, შეიძლება, უფრო გაუადვილდეს, ტექსტი მთლიანად გადმოწეროს, შეცდომები ჩაასწოროს და შემდეგ გადაწეროს პასუხების ფურცელში. თუმცა, ეს არ არის აუცილებელი, შავ ფურცელზე შეუძლია მონიშნოს, სად იპოვა შეცდომა და შემდეგ უკვე სწორი ფორმით გადაწეროს; ზოგიერთ აბიტურიენტს შეიძლება უფრო გაუადვილდეს მთლიანი ტექსტის გადაწერა და არა მხოლოდ შეცდომების. აქედან გამომდინარე, ვიფიქრეთ, რომ ლოგიკური იქნება, დაემატოს დრო, პლუს კიდევ ერთი დავალება – წაკითხული ტექსტის გააზრება, სადაც ტექსტი მთლიანად არ ეტევა ეკრანზე და აბიტურიენტს მოუწევს გადასვლა-დაბრუნება, რაც, მე თუ მკითხავთ, გაცილებით სრაფად ხდება, ვიდრე გადაფურცვლა, მაგრამ მაინც. ფაქტობრივად, ყველა საგამოცდო საგანს მოვუმატეთ დრო, 15 წუთი მაქსიმალურია, ზოგიერთ საგამოცდო საგანს 10 წუთი დავუმატეთ, ზოგს – 5 და ა.შ. არ დაემატა სამაგისტრო გამოცდის ორ ნაწილს, ეს გახლავთ ანალიტიკური წერა, იმიტომ რომ, ეს დავალება ძალიან მცირე ზომისაა. დავალება უნდა წაიკითხო და შემდეგ არგუმენტირებული ესე დაწერო. აქედან გამომდინარე, ეკრანზე მხოლოდ ძალიან მცირე ზომის დავალებას კითხულობ და შემდეგ უკვე პასუხების ფურცელზე მუშაობ; დაემატა წაკითხულის გააზრების ნაწილს სამაგისტრო გამოცდაზე, იმიტომ რომ, იქაც დიდი ტექსტია და, ასე ვთქვათ, გვერდიდან გვერდზე გადასვლა მოუწევთ; დაემატა, ასევე, ანალიტიკურს და ლოგიკას, რაოდენობრივს – არა. სხვა შემთხვევაში, ფაქტობრივად, ყველას დაემატა, დაახლოებით, 10-10 წუთი. უნარებსაც 5-5 წუთი, ჯამში – 10. ბიოლოგიის გამოცდაზე თვითონ ტესტი შემცირდა – მაქსიმალური 75 ქულის ნაცვლად, 70 ქულა იქნება. აქედან გამომდინარე, დრო არ დაემატა. ხელოვნების გამოცდასაც არ დაემატა დრო, რადგან ადრე გაცილებით მეტი დრო იყო გამოყოფილი, ვიდრე სჭირდებოდათ აბიტურიენტებს.

– როგორია თქვენი მოლოდინი გამოცდების ახალ ფორმატთან დაკავშირებით?

– გულწრფელად გეტყვით, რომ ძალიან ვღელავთ და გვინდა, ყველაფერი სათანადო დონეზე მოვამზადოთ. რთული პროცესია. 21 საგამოცდო ცენტრი გვაქვს, 12 ათასი ლეპტოპი უნდა გამოვიყენოთ გამოცდებზე (ერთ ნაკადზე 10 ათას აპლიკანტს ვღებულობთ, 12 ათასი ლეპტოპია რეზერვით, რადგან ყველა საგამოცდო ცენტრში უნდა იყოს რეზერვი). ეს სამუშაო, ფაქტობრივად, დავამთავრეთ, ახლა საგამოცდო ცენტრების მოწყობის პროცესი მიმდინარეობს.

დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად ჩაივლის. ეს პირველი ნაბიჯია, შემდეგი ნაბიჯი, აუცილებლად, იქნება ის, რომ უკვე დახურულბოლოიან დავალებებს შევავსებინებთ ელექტრონულად, რაც გაცილებით მარტივი იქნება აპლიკანტებისთვის, იქვე მონიშნავენ ეკრანზე სწორ პასუხს და მხოლოდ ღია დავალებების შევსება მოუწევთ პასუხების ფურცელზე. თუ 2017 წელს ამას გავაკეთებთ, ბევრად შემცირდება გასწორების დრო და აბიტურიენტები, მაგალითად, ზოგადი უნარების გამოცდის შედეგებს გამოცდის დასრულებისთანავე გაიგებენ. არჩევითბოლოიანი დავალებების ბლოკი, სხვა საგნებშიც, ავტომატურად გასწორდება და აღარ დასჭირდება ის პროცედურები, რასაც ვაკეთებდით. მაგალითად, მათემატიკაში 30 დავალება აქვთ დახურულბოლოიანი და 10 – ღიაბოლოიანი. მხოლოდ ამ 10 დავალებას შეავსებენ პასუხების ფურცელზე და მხოლოდ ამ 10 დავალებას გაასწორებენ გამსწორებლები, დანარჩენის შედეგი უკვე იქვე გვეცოდინება და, ბუნებრივია, სხვა საგამოცდო საგნების შედეგებსაც გაცილებით მოკლე დროში ვაცნობებთ, ვიდრე ეს წინა წლებში იყო და იქნება წელს.

სამომავლოდ, ორიენტაცია უნდა ავიღოთ იმაზე, რომ სრულად ელექტრონულ ფორმატზე გადავიდეთ. ჩვენთვის ძალიან სერიოზული გამოწვევაა, რადგან ელექტრონული ბუკლეტები ბევრ შესაძლებლობას გვაძლევს, რომ თვითონ ტესტური დავალებები იყოს ძალიან მრავალფეროვანი. ბევრი რამ შეგვიძლია გამოვიყენოთ, ანიმაციებიდან დაწყებული ვირტუალური ექსპერიმენტებით დამთავრებული, თუნდაც საბუნებისმეტყველო საგნებში. ამ მიმართულებით დავიწყეთ მუშაობა და ვაგრძელებთ. სრულად ელექტრონული ფორმატი გულისხმობს, რომ ღია დავალებებიც ელექტრონულად შეავსონ. თუმცა, აქ ნამდვილად არსებობს პრობლემა, რადგან არა ვართ დარწმუნებულები, რომ ელექტრონული ტექნოლოგიები სრულად ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში. სანამ არ გვეცოდინება, რომ არა მარტო ბეჭდვა, არამედ, მაგალითად, ნახაზების გაკეთება ელექტრონულად, ფორმულის დაწერა, მათემატიკაში იქნება, ფიზიკაში თუ ქიმიაში, პრობლემას არ წარმოადგენს მოსწავლისთვის, მანამდე, რა თქმა უნდა, არანაირი უფლება არ გვაქვს, მოვთხოვოთ აბიტურიენტებს გამოცდების ასეთი ფორმატით ჩაბარება, მაგრამ აქეთკენ მივდივართ. თუ სკოლებში ეს ყველაფერი გაკეთდება, მერე უკვე სრულად ელექტრონულ ფორმატზე გადავალთ.

– ეროვნული გამოცდები პირველ ივლისს დაიწყება?

– დიახ, პირველ ივლისს დაიწყება ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით და, სავარაუდოდ, 21 ივლისს დავასრულებთ.

ესაუბრა **ლალი თვალაბეიშვილი**

ინფრასტრუქტურული პროექტი

MCC მთავარ ორიენტირს ხარისხზე აკეთებს

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება სტანდარტს, დაახლოებით, ერთი წელი მიმდინარეობდა იმ სტანდარტების განსაზღვრა, რომლითაც აღნიშნული სკოლების რეაბილიტაცია ჩატარდებოდა. ამისთვის აყვანილი გვყავდა საერთაშორისო სტანდარტის უცხოური კომპანიები. შეიქმნა გაიდლაინები, რომლის მიხედვითაც ყველა სკოლას ერთი სტანდარტით ჩაუტარდება რეაბილიტაცია, რაც სოციალურ და გარემოს დაცვით ფაქტორებსა და უმაღლესი ხარისხის სამშენებლო მასალის გამოყენებას ითვალისწინებს; რაც მთავარია, ხარჯეფექტიანი უნდა იყოს ის ინვესტიცია, რასაც ჩვენ განვახორციელებთ. "

სამი სკოლის მაგალითზე შესაძლებლობა მოგვეცა, პროცესს ისეთი თანმიმდევრობით დავკვირვებოდით, რომ სრული წარმოდგენა შეგვქმნოდა – რითი იწყება, როგორ გრძელდება და რა შედეგით მთავრდება. შერჩეული სკოლებიდან პირველი, კეხიჯვრის საჯარო სკოლის შენობა მოვინახულეთ, რომელიც 1981 წელს აშენდა და მას შემდეგ არანაირი სერიოზული სარეაბილიტაციო სამუშაო არ ჩატარებია. სკოლაში ამჟამად 7 სოფლიდან 276 მოსწავლე სწავლობს. მედიატურს მეგზურობას ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მთავარი ინჟინერი **ქართლოს ყიფიანი** უწევს და დეტალურად გვიხსნის პროექტის მიმართულებებს. კეხიჯვრის საჯარო სკოლა შეფასებულია, როგორც საშუალოზე დაბალ მდგომარეობაში მყოფი შენობა, ამაზე უარეს მდგომარეობაშია არაერთი სკოლის შენობა საქართველოში. თუმცა, აქ რომ არ ჩატარდეს სარეაბილიტაციო სამუშაოები, სულ რამდენიმე წელიწადში, ძალიან ცუდ შედეგს მივიღებთ, მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდება.

თითქმის ყველა სკოლის პრობლემა სველი წერტილია. აქაც, შენობას მოშორებულ ტუალეტში, ენით აუწერელი ანტისანიტარიაა, ამის გარდა, ზამთარში სიცივესა და ყინვაში უწევთ პატარებს გარეთ გამოსვლა, რაც მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებს ზრდის. როგორც სკოლაში გვეუბნებიან, მოსწავლეები, რომლებიც ახლოს ცხოვრობენ სკოლასთან, ტუალეტის გამო სახლში მიდიან და ხშირად აღარც უბრუნდებიან გაკვეთილს. სხვები კი, ფაქტობრივად, ვერ სარგებლობენ, არადა, როგორც გითხარით, ბავშვები მეზობელი სოფლებიდან დადიან. *„მე ასეთ სკოლაში ბავშვის გაშვება მართლა შემეშინდებოდა"* – ამბობს ბატონი ქართლოსი და გვიხსნის, თუ როგორ შეიცვლება მდგომარეობა მათ მიერ რეაბილიტირებულ სკოლებში. *–რა თქმა უნდა, ჩვენი პროექტი, სრულ რეაბილიტაციასთან ერთად, თანამედროვე პირობების შექმნასაც ითვალისწინებს. ამიტომ იმ შენობაში, სადაც სველი წერტილის შეტანა-განთავსება არ არის შესაძლებელი, მიშენება გაკეთდება, სადაც ტუალეტები განთავსდება".* თუმცა, ამის გარდა, აქ სხვა პრობლემაცაა – არ არსებობს საკანალიზაციო სისტემა. ამ შემთხვევაშიც, არსებობს გამოსავალი – საკმაოდ ძვირადღირებული ბიოგადამამუშავებელი აპარატურის დამონტაჟება, რომელიც, სრულ შესაბამისობაში მოდის ქართულ კანონმდებლობასთან. უცხოეთის ქვეყნებში მსგავსი გადამუშავების შედეგად მიღებულ ტექნიკურ წყალს ჩვეულებრივ მოიხმარენ, თუმცა, ამის აუცილებლობა ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს.

ერთი შეხედვით საშუალოზე დაბალ მდგომარეობაში მყოფი კეხიჯვრის საჯარო სკოლის შენობას თუ კარგად დაათვალიერებ, დასმულ დიაგნოზს შეუცვლი და კიდევ უფრო დაბალ დონეზე ჩამოიყვან, რადგან სკოლის შენობის ერთი ფლიგელი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი და, ამიტომ, ფაქტობრივად, გაუქმებულია. ბავშვები, პირველ რიგში, რის გაკეთებასაც ასახელებენ – იატაკია. კიბის უჯრედზე ისეთ ბზარებს ვხედავთ, ცოტა მეშინია, კიბე ფეხქვეშ არ გამოგვეცალოს. სველი წერტილები (ხელსაბანი) ძველი ტილოებით შეუფუთავთ, ეტყობა წყალი გასდის. სპორტის დარბაზში იატაკი ფეხქვეშ ტალღასავით მოძრაობს, ირყევა და თუ ბავშვები ხტუნავენ, ისეთი მტვერი ამოდის, ვეღარ სუნთქავ. ამის მომსწრეც თავად გავხდით, რადგან ფიზიკულტურის გაკვეთილი ტარდებოდა. ეს გარეგნულად რასაც შეავლებ თვალს, თორემ ოფიციალური დასკვნა ამის შესახებ, როგორც გითხარით, უკვე არსებობს და სკოლის შენობის, რომლის სარეაბილიტაციო ფართი 2344.8 კვ.მ-ს შეადგენს, რეაბილიტაცია ივლისის შუა რიცხვებში დაიწყება. სკოლის დირექტორი **ლეილა ოსიტაშვილი** რეაბილიტაციას, სხვა სიკეთესთან ერთად, მოსწავლეთა კონტინგენტის ზრდასაც უკავშირებს. ერთი სული აქვთ, როდის დაიწყება სარემონტო სამუშაოები.

შემდეგი გაჩერება ბებნისის საჯარო სკოლაა, რომელშიც სარეაბილიტაციო სამუშაოები ზაფხულის ბოლოს დასრულდება. დღეის მონაცემებით, სკოლაში176-მდე მოსწავლე ირიცხება, თუმცა რეაბილიტირებული შენობა 240 მოსწავლეზე იქნება გათვლილი. სარებილიტაციო ფართი 1048 კვ.მ-ს შეადგენს.

ქართლოს ყიფიანი იმ სტანდარტებს გვაცნობს, რომლის მიხედვითაც სკოლამ, მინიმუმ, 20-25 წელი ისე უნდა გაძლოს, რომ არანაირი სარემონტო სამუშაოს ჩატარება აღარ დასჭირდეს. ამიტომ მნიშვნელოვანია, როგორც ამბობს, ვიდრე რეაბილიტაციას დაიწყებენ, კვალიფიციური კადრების დახმარებით, გამოიკვლიონ შენობის კონსტრუქციული მდგრადობა. *„ჩვენ მიერ შერჩეულ სკოლებს უტარდება კონსტრუქციული და გეოტექნიკური კვლევები, რომლის საფუძველზეც გვაქვს დასკვნა იმის შესახებ, შენობა ავარიულია თუ არა და სჭირდება თუ არა მას პრევენციული გამაგრებითი ჩარევა – რკინის კონსტრუქციაში ჩასმა. სწორედ ეს პროცედურა იძლევა 25-წლიანი გარანტიის მიცემის საშუალებას".*

ბებნისის სკოლაში ასეთი ტიპის გამაგრება კორპუსის ნაწილს დასჭირდა, ყოფილი სპორტული დარბაზი მთლიანად ჩაისვა რკინის პერანგში, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ მიწისძვრის დროს ეს ნაწილი, მართალია, გამოუსწორებელ დეფორმირებას მიიღებს, მაგრამ არ ჩამოიშლება, რაც ბავშვების მინიმალურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, თორემ, როგორც ბატონი ქართლოსი ამბობს, არსებობს გამაგრების ისეთი სცენარიც, რომელიც ქვეყანა რომ ამოტრიალდეს, შენობა მაინც არ დაინგრევა. ასეთი გამაგრება ძალიან ძვირადღირებულია და ამის ფუფუნება ჩვენ არ გვაქვს.

აუცილებელი გახდა, ბებნისის სკოლაში სველი წერტილებისთვის გაკეთებულიყო მიშენება, რადგან სკოლის ფართი ამის საშუალებას არ იძლეოდა და დამონტაჟდა ნარჩენი წყლის გადამამუშავებელი დანადგარი, რომელიც სიახლეა და ფიქრობენ, ახალ სტანდარტს დაამკვიდრებს. რეაბილიტირებული სკოლების სველ წერტილებში სსსმ მოსწავლეებისთვისაც გათვალისწინებულია ტუალეტები.

რეაბილიტაცია რომ მაქსიმალურად მაღალი სტანდარტების დაცვით მიმდინარეობს, ამაზე ყველა დეტალი მეტყველებს. სახიფათო და საშიში ნარჩენები სპეციალური პროტოკოლის დაცვითაა შეფუთული და, შესაბამისად, სპეციალურ ნაგავსაყრელზე გადაიტანენ. ამ სტანდარტების დაცვის მოთხოვნა ჩადებულია სამშენებლო კომპანიის ხელშეკრულებაში. *„ დაქირავებული გვყავს სამშენებლო ზედამხედველი, რომელიც ამ პროექტის ავტორია და საავტორო ზედამხედველობას ახორციელებს ხარისხზე. ამის გარდა, ათასწლეულის გამოწვევის ფონდს დაქირავებული ჰყავს სპეციალისტები, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გადამონმებას, რამდენად ადეკვატურად ახორციელებს ზედამხედველი მასზე დაკისრებულ მოვალეობას.*

ჩვენი ორგანიზაცია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, სკოლების რეაბილიტაციის პარალელურად, სკოლების მოვლა-პატრონობის ტექნიკური პროტოკოლების შემუშავებას ახორციელებს. ჩვენი შესყიდვების წესების მიხედვით, რეაბილიტაციის პროცესში ხდება შუალედური მიღება-ჩაბარების განხორციელება სამუშაოებზე. შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში, ჩვენ მიერ დაქირავებული ზედამხედველი კომპანიები ახდენენ შენობის დათვალიერებას. თუ აღმოჩნდება რაიმე სახის წუნი ან გაჩნდება თუნდაც ნაპრალი, სამშენებლო კომპანიები იძულებული არიან, თავისი ხარჯებით გამოასწორონ ყველაფერი. ამიტომ, სამშენებლო კომპანიებიც ორიენტირებული არიან ხარისხზე, ურჩევნიათ თავიდანვე ხარისხიანად შეასრულონ სამუშაო, ვიდრე შემდეგ თანხები დახარჯონ მის გამოსასწორებლად."

ბებნისის საჯარო სკოლის რეაბილიტაციაზე, ერთ კვადრატზე, გათვლილია, დაახლოებით,180 დოლარი, თანხა იმაზეა დამოკიდებული, რა ტიპის სამუშაოებია ჩასატარებელი.

გიორგი ზედგინიძე, გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების დირექტორია და გვაცნობს მის სამსახურზე დაკისრებულ მოვალეობებს. ამბობს, რომ თავისთავად საინტერესოა, როგორ მიმდინარეობს სარეაბილიტაციო პროცესი, მაგრამ მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა *„სამი მიმართულება – სოციალური საკითხები, გარემოს დაცვა და უსაფრთხოება. სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ წესები იმდენადაა დაცული, რომ, ჯერჯერობით, არც ერთი ინციდენტი არ ყოფილა.*

მაქსიმალურად სრულდება ყველა სტანდარტი გარემოს დაცვის მიმართულებით, ობიექტზე ნარჩენების დახარისხება ყველა წესის დაცვით ხდება; ასევეა უსაფრთხოების მიმართულებაც – მკაცრად კონტროლდება როგორც თავად სამშენებლო კომპანიის თანამშრომლების, ისე გარეშე პირების უსაფრთხოების დაცვაც.

რაც შეეხება სოციალურ ნაწილს, სპეციალურად გამოყოფილია ერთი ადამიანი, რომელიც ყურადღებას აქცევს, საკმარისად არიან თუ არა პროცესებში ჩართული სკოლისა და თემის წარმომადგენლები. დანიშნულია შეხვედრების სპეციალური რაუნდები და ვიდრე დაიწყება რეაბილიტაცია, ყალიბდება კომიტეტი, რომელშიც მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები შედიან. სანამ პროექტის დიზაინი დასრულდება, ვაწყობთ განხილვას, ვისმენთ მათ შენიშვნებსა და სურვილებს და შეძლებისდაგვარად ვითვალისწინებთ. მას შემდეგ, რაც სკოლა და კომიტეტი მოიწონებს პროექტს და იტყვის, რომ ეს მათთვისაც მისაღებია, ცხადდება ტენდერი. სოციალურ ნაწილში ადგილზე ხალხის დასაქმებაც არის გათვალისწინებული. სოციალური მიმართულება განსახლებასაც უზრუნველყოფს – თუკი სკოლაში, სადაც შევდივართ, ბიზნეს აქტივობა გვხვდება, კომპენსაციას ვუხდით. მაგალითად, სკოლაში ფუნქციონირებს კაფეტერია, ის, თავისთავად, რეაბილიტაციის პერიოდში ვეღარ იმუშავებს, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი უდანაკარგოდ უხდის კომპენსაციას იმ ოდენობით, რამდენ მოგებასაც მიიღებდა ამ ხნის განმავლობაში."

ალბათ, გასაკვირიც აღარ იქნება, თუ გეტყვით, რომ ქართული სამშენებლო კომპანიებისთვის უპრეცედენტოდ მაღალი ხარისხის სარეაბილიტაციო სამუშაოები სრულდება საჯარო სკოლებში ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს მიერ, რომლებსაც, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ძალიან გაუმართლათ. ხარისხი კი მართლაც ვიხილეთ ხიდისთავის საჯარო სკოლაში, სადაც სარემონტო სამუშაოები, ფაქტობრივად, დასრულებულია. სკოლა, სადაც უკვე 140 ათასი დოლარის ღირებულების სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა, მართლაც ტოლს არ უდებს არც ერთ გარემონტებულ სკოლას, თუნდაც დედაქალაქში. მაღალი სტანდარტი ყოველ ფეხის ნაბიჯზე თვალშისაცემია – ლაბორატორიის, საკლასო ოთახის, ბიბლიოთეკის, კაფეტერიის, სველი წერტილების ყველა დეტალი ისეა გათვლილი, რომ მისი ახსნა მაღალი კვალიფიკაციის მქონე ადამიანის გარდა სხვას ნამდვილად გაუჭირდება. ამიტომაც, ყველა დეტალს ისევ მთავარი ინჟინერი ქართლოს ყიფიანი გვაცნობს და თან გვეკითხება – მოგწონთ? მაგალითად, გვიყვება, რატომ გახდა საჭირო სკოლის შენობის მთლიანად ჩასმა რკინის პერანგში, რომლის მდგრადობაზეც ახლა უკვე თავს დებს; როგორ გაკეთდა გათბობის სისტემა ისე, რომ, რაც შეიძლება, ნაკლები დანახარჯი ექნეს სკოლას; რატომ არის ძალიან ხარისხიანი მასალით დამზადებულ კარზე პატარა ჭრილი, რომელშიც შუშაა ჩასმული; რატომ იღება კარი შიგნიდან გარეთ და არა პირიქით; რატომ არის ლაბორატორიაში ცდების ჩასატარებელი ადგილი სცენასავით ამაღლებული, რომელიც, სულ მალე, ამავე პროექტის ფარგლებში, თანამედროვე დანადგარებით აღიჭურვება; საკლასო ოთახებში, რატომ არის კედლების შუა ნაწილი ვიწრო ხის ზოლით დაფარული ან რისთვის უნდა გამოიყენონ მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა ოთახის წინა კედელზე მიმაგრებული პატარა ხის ნაჭრები; რატომ დასჭირდათ იატაკის მასალის შეკვეთა სპეციალურად უცხოეთში; შენობაში გამოყოფილ სარეკრეაციო ზონებს რა დატვირთვა აქვს ბავშვებისთვის; დაბოლოს, რა პარამეტრებისა და სტანდარტების დაცვით გაკეთდა სპორტული დარბაზი, რომელიც ქართულ საჯარო სკოლებში, ჩემი თვალთახედვით, პირველი თუ არა, მოწინავეთა რიგებში აუცილებლად აღმოჩნდება. ამას ყველაფერს ის ახალი სტანდარტი ემატება, რომელიც გამწმენდი ნაგებობის სახით შემოიტანა პროექტმა და კანალიზაციის სისტემა ჩაანაცვლა. ბატონი ქართლოსი გვათვალიერებინებს გემოვნებით შეხამებულ და ხარისხით გაჯერებულ, რეაბილიტირებული სკოლის შენობას, თითქმის, დასრულებულ სველ წერტილებს, რომელიც, ვფიქრობ, პირველადაა ასაკობრივი ჯგუფების, სქესისა და სპეციალური საჭიროების მიხედვით დაყოფილი. აქ სსსმ მოსწავლეებისთვის ტუალეტში ერთი კედელი სხვა ფერის კაფელითაა დაფარული, ეს იმიტომ გავაკეთეთ, ამბობს ბატონი ქართლოსი, რომ მათ ცხოვრებაში, ამითაც კი, შევიტანოთ მხიარულება.

სკოლის დირექტორი სიამაყით აცხადებს, რომ აქამდე არსებული ტენდენცია, რომ ბავშვები ქალაქის სკოლაში წაეყვანათ, უკვე შეიცვალა. *„წელს, ჩვენი სოფლიდან ყველა პირველკლასელი ხიდისთავის სკოლაში დარეგისტრირდა. სექტემბერში, დიდი ხნის შემდეგ, ველოდებით პირველკლასელებს. კარგა ხანია, პირველი კლასი აღარ გვყოლია. დარწმუნებული ვარ, არც ერთი გადინება არ გვექნება სკოლიდან, მეტიც, ასეთი სკოლის შენობით და ჩვენი პედაგოგებით, ვფიქრობ, კონტინგენტს მოვიზიდავთ კიდეც. დღეის შემდეგ, თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ასეთი მაღალი სტანდარტის სკოლა სერიოზულ კონკურენციას გაუწევს გორის რაიონის და ქალაქის სკოლებს. სულ მალე დაიწყება ეზოს მოწყობა, რომელიც კიდევ უფრო მიმზიდველ იერ-სახეს შესძენს სკოლას. ჩვენ ქალაქის სკოლებში წასული მოსწავლეების დაბრუნებასაც ველოდებით. სკოლაში, ამჟამად, 345 ბავშვი ირიცხება, მაგრამ რეაბილიტირებული შენობა 600 მოსწავლეზეა გათვლილი, ამდენად, ჩვენი სკოლის შენობა ყველას დაიტევს. უკვე ყველანაირი პირობა გვაქვს მაღალხარისხიანი სწავლის უზრუნველსაყოფად. დარწმუნებული ვარ, ასეთი ინფრასტრუქტურა მოტივაციას კიდევ უფრო აუმაღლებს როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს."* – ამბობს სკოლის დირექტორი **მიმოზა ღოლიჯაშვილი.**

იმ სკოლებში, სადაც ათასწლეულის გამოწვევის ფონდი სარეაბილიტაციო სამუშაოებს ჩაატარებს, ეზოს კეთილმოწყობაზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სამსახური იზრუნებს. მათივე პრეროგატივაა, საჭიროების მიხედვით, სკოლების ახალი სასკოლო ინვენტარით აღჭურვა.

გარემოში, სადაც 21-ე საუკუნეა და მთავარი ორიენტირი ხარისხზე გაკეთდა, ცუდად სწავლის უფლება, ალბათ, აღარავის აქვს.

ლალი ჯელაძე

საბაზისო დოკუმენტი

ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა

პირველი გვერდიდან

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, **ალექსანდრე ჯეჯელავამ** ეროვნული სასწავლო გეგმის ახალი ვერსია შეაფასა, როგორც კარგი ნამუშევარი და ხაზი გაუსვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ განათლების სისტემა დროის მოთხოვნებს პასუხობდეს: *„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი განათლების სისტემა მიჰყვებოდეს დროის მოთხოვნებს. სერიოზული საფრთხეა ის, რომ დრო აჩქარდა, ყველაფერი ძალიან სწრაფად იცვლება – ჩვენი ბავშვების სურვილები, ინტერესები, ტექნოლოგიური შესაძლებლობები, გონება და აუცილებელია, რომ სკოლა მიჰყვეს მისთვის ყველაზე მთავარ ადამიანებს განვითარებაში. ეროვნული სასწავლო გეგმის ახალი ვერსია ძალიან მნიშვნელოვანია ამ განვითარების პროცესში. ჩვენ უნდა მოვახერხოთ, სისტემა მუდმივად დინამიური იყოს და მიჰყვეს დროის მოთხოვნებს, რადგან, ხანდახან, ზოგიერთი საგნის პროგრამა ჩამორჩება ხოლმე სოციალურ-პოლიტიკურ თუ ტექნოლოგიურ გარემოს. ძალიან კარგი ნამუშევარია და უნდა შევეცადოთ, ასე გავაგრძელოთ.“*

ეროვნული სასწავლო გეგმა პერიოდულ განახლებას მოითხოვს, მასში უნდა აისახოს როგორც მოსწავლეებისა და პედაგოგების საჭიროებები, ისე საერთაშორისო პრაქტიკა, განათლების სფეროში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციები. განათლების რეფორმების დაწყებიდან დღემდე, უკვე მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა შემუშავდა და მისი მოქმედების ვადა 2017-2023 წლებით განისაზღვრა.

ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზიას წინ უძღოდა მრავალმხრივი მოსამზადებელი სამუშაოები სხვადასხვა მიმართულებით: ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი დაწყებით საფეხურზე; სახელმძღვანელოების ხარვეზების შესწავლა; სკოლებიდან, სხვადასხვა ორგანიზაციიდან შემოსული მოსაზრებებისა და რეკომენდაციების ანალიზი; სკოლების საგნობრივ კათედრებთან შეხვედრების ანალიზი; საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა (7 განვითარებული ქვეყნის სასწავლო გეგმების შესწავლა და შედარება საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან); დეპარტამენტის ექსპერტებისა და პროცესში ჩართული მოქმედი პედაგოგების პედაგოგიური გამოცდილების გათვალისწინება; სახელმწიფოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების ანალიზი.

თუმცა, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა ერთგული დარჩა ძირითადი პრინციპის, რაც მოსწავლეზე და სასწავლო შედეგზე ორიენტირებულობას გულისხმობს. *„სწავლა-სწავლების პროცესის ცენტრში დგას კონკრეტული მოსწავლე თავისი ინდივიდუალური საჭიროებებით და მთელი სასწავლო სისტემა მასზეა ორიენტირებული* – აცხადებს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსი **ნათია ჯოხაძე** – *2017-18 სასწავლო წლიდან ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში სკოლებში შევა უკვე მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა. მინისტრის ბრძანებით, დამტკიცდა ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხური – I-VI კლასები და ძალიან მალე ამუშავდება სკოლებში. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო მუშაობის პროცესი, ადგილობრივი თუ საერთაშორისო პარტნიორების, უნივერსიტეტების, სკოლის ხელმძღვანელებისა და მასწავლებელთა კორპუსის ძალიან აქტიური ჩართულობა, ასევე, სხვადასხვა ჯგუფების, მათ შორის, სახელმწიფო ინსტიტუციების, რომლებიც გვაწვდიდნენ ხოლმე ეროვნულ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებულ თავიანთ მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს. შემიძლია გითხრათ, რომ ეს დოკუმენტი ნამდვილად არის შეთანხმებული ვერსია იმისა, თუ როგორი გვინდა იყოს საგანმანათლებლო პარადიგმა და პროცესი სკოლებში და რა უნარები, ცოდნა და ღირებულებები გვინდა, რომ ჰქონდეს ჩვენს მომავალ თაობას.*

ცხადია, ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტი, ფილოსოფია შეცვლილი არ არის და ეს ფილოსოფიაა მოსწავლეზე ორიენტირებული სისტემა. თუმცა, მთელი რიგი ცვლილებებია, რომელიც შეეხება სწავლა-სწავლების ორგანიზებას, ახალი საგნის შემოტანას საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით, საკლასო შეფასებასთან დაკავშირებული ცვლილებები, რაც განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზეა კრიტიკულად მნიშვნელოვანი. ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, რომ ის საუკეთესო და მომავალზე ორიენტირებული სურვილები, რაც ეროვნულ სასწავლო გეგმაშია, რეალურ ცხოვრებაში ამოქმედდეს. ამისთვის უნდა იმუშაოს როგორც დეპარტამენტმა, ისე სასკოლო სივრცეში მოღვაწე ყველა ადამიანმა – მხედველობაში მაქვს მასწავლებელთა გადამზადების, გამოცდების თუ ხარისხის ცენტრები, სკოლების ადმინისტრაციები და პედაგოგები. ყველამ ერთად უნდა ვიშრომოთ იმისთვის, რომ თითოეულ ბავშვთან დაინერგოს ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც განვითარებაზეა ორიენტირებული და ეხმარება მოსწავლეს ფუნდამენტური, მყარი, დინამიური ცოდნის კონსტრუირებაში.“

გატარებული ცვლილებების მთავარი მიზანია იმგვარი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების განვითარებას. ამ მიზნის განხორციელების ხელშესაწყობად შემდეგი არსებითი ცვლილებები განხორციელდა:

განათლების მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნის გათვალისწინებით განისაზღვრა ის ძირეული პრინციპები, რომლებიც უკეთესად სწავლისა და სწავლების საშუალებას იძლევა. ამ პრინციპების ირგვლივ უნდა გაერთიანდეს და გამთლიანდეს ზოგადი განათლების სისტემა, ამ პრინციპების განხორციელებისაკენ უნდა წარიმართოს სისტემის თითოეული რგოლი, რათა რეალურად შესაძლებელი გახდეს საკლასო ოთახებში მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა;

ყოველწლიური სტანდარტების ნაცვლად, შემუშავდა საფეხურებრივი სტანდარტები, რაც მასწავლებლებს მეტ საშუალებას მისცემს, ცალკეული მოსწავლის განვითარების ტემპს მოარგოს საგანმანათლებლო პროცესი, გაითვალისწინოს ცალკეული მათგანის ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, სწავლის სტილი, პირადი გამოცდილება და აკადემიური საჭიროებები;

ახალი თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში განისაზღვრა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების მისია და მიზნები, რომლებშიც დაწყებით საფეხურზე, სხვა უნარებთან ერთად, ხაზგასმულია საბაზისო უნარების – წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების – განვითარებაზე მუშაობა. საბაზო საფეხურზე ხაზგასმულია, საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე, მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, ხოლო საშუალო საფეხურზე – საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით, სისტემური ცოდნის კონსტრუირება; მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება;

ცვლილება შევიდა ესგ-ს შინაარსის სტრუქტურირებასა და ორგანიზებაში, კერძოდ: გამოიკვეთა გრძელვადიანი მიზნები (რაც ძალიან მნიშვნელოვანია) და მათი მიღწევის გზები და საშუალებები;

მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა საფეხურებრივი სტანდარტების დანერგვით, ყოველწლიური სტანდარტის ნაცვლად, გაჩნდა საფეხურებრივი სტანდარტები სწავლა-სწავლების შემდეგ საკვანძო ეტაპებზე: I-IV – ოთხწლიანი ქვესაფეხურის; V-VI – დაწყებითი; VII-IX – საბაზო და X-XII – საშუალო საფეხურების ბოლოს. მასწავლებელს ორიენტირი სწორედ საფეხურების ბოლოს აქვს გადატანილი. *„ერთი მხრივ, ეს მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მასწავლებელმა დიდი მიზნებისთვის იმუშაოს და ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ბავშვზე მორგებული სისტემის ამოქმედებას სწორად შეუწყოს ხელი.“*

სტანდარტის საფეხურებრივი შედეგების შემოტანით, ყოველ კონკრეტულ სკოლას ეძლევა საშუალება, საგაკვეთილო პროცესი მოსწავლეების შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით დაგეგმოს. ამავე დროს, შენარჩუნდა წლიური პროგრამებიც, სკოლას ეძლევა საშუალება, სტანდარტის შედეგების მისაღწევად, სურვილის შემთხვევაში, გაჰყვეს მომზადებულ წლიურ პროგრამებს;

სიახლეა სახელმწიფო ენის სწავლებაში – ქართული ენისა და ლიტერატურის საგნის სტანდარტში და ყველა კლასის პროგრამაში გამიჯნულია ენის გრამატიკული ასპექტები; მასწავლებელი თავისუფალია და შეუძლია თავად დაგეგმოს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლების პროცესი. მართალია, ეს თავისუფლება მანამდეც ჰქონდა, თუმცა ამის ოფიციალური ჩანაწერი კანონში არ არსებობდა და, ხშირ შემთხვევაში, მასწავლებელი ფიქრობდა, რომ გრამატიკის სწავლებაში შეზღუდული იყო. კანონში ამ ჩანაწერმა კი ოფიციალურად მიანიჭა უფლება, ასწავლოს გრამატიკა იმ დოზით, როგორც თავად დაგეგმავს;

და სიახლე, რომელმაც საზოგადოებაში არაერთგვარი რეაქცია გამოიწვია, საზოგადოებრივი მეცნიერებების გაძლიერებული სწავლებაა – III-IX კლასებში შემოდის ინტეგრირებული საგანი „მე და საზოგადოება“. ამ საგნის სწავლების საკითხთან დაკავშირებით საზოგადოება ორ ნაწილად გაიყო და დაიწყო სერიოზული დაპირისპირება – უნდა ესწავლათ თუ არა ბავშვებს საგანი, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეს ჩამოუყალიბოს პასუხისმგებლობა და მზრუნველი დამოკიდებულება საკუთარი თავის, ოჯახის, თემის, ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ. სინამდვილეში, რა იყო „ხმაურიანი საგნის“ დამკვიდრების მიზანი, ამის შესახებ ქალბატონი ნათია ამბობს, რომ: *„დაწყებით კლასებში მოსწავლესთან ვმუშაობთ ტექნიკური, საბუნებისმეტყველო, ესთეტიკური მიმართულებებით. გვინდოდა, მათთან სოციალური მეცნიერებების მიმართულებითაც გვემუშავა. სწორედ ეს სურვილი ჩაიდო, როცა გადავწყვიტეთ, III-IV კლასებში ინტეგრირებული საგანი – ისტორია-გეოგრაფია-სამოქალაქო განათლება – შეგვეცვალა საგნით „მე და საზოგადოება“. ამდენად, 2017 წლიდან, მესამეკლასელები დაიწყებენ ამ საგნის შესწავლას. საგნის სწავლების არსია, მოამზადოს ბავშვები საზოგადოებრივ- სოციალური მეცნიერებების სწავლებისთვის ზედა საფეხურზე და შექმნას ამისთვის მყარი საფუძველი. ასევე, არის რიგი საკითხები, რომელთა სწავლება IX და X კლასებში დაგვიანებულია. დამერწმუნებიან სპეციალისტები, სამოქალაქო განათლება მანამდე მხოლოდ IX- X კლასებში ისწავლებოდა და ვამბობდით, რომ ინტეგრირებულია სხვა საგნებში, მაგრამ სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და ვთქვათ, რომ, ხშირ შემთხვევაში, ინტეგრირებული იყო ისტორიის საგანში. ამდენად, ისტორიის მასწავლებელი, თავისთავად, ყურადღებას ნაკლებად ამახვილებდა სამოქალაქო განათლებაზე. მთელი რიგი საკითხები, რომლებიც პრიორიტეტულია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით, თვითონ ეროვნული სასწავლო გეგმით, იკარგებოდა. ესეც გახდა ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ცალკე გამოვყავით საგანი „მე და საზოგადოება“.*

რეალურად რა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან უნარებსა და საკითხებზეა საუბარი საგანში „მე და საზოგადოება“, ქალბატონი ნათია პასუხობს, რომ გარდა თემატური საკითხებისა, ეს საგანი აერთიანებს: კონფლიქტების მართვას, გარემოს დაცვას, ჯანსაღი ცხოვრების წესს, სამოქალაქო უსაფრთხოებას, შემწყნარებლობას, ბავშვის უფლებებსა და მოვალეობებს, ისტორიულ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ უნარებს. *„ძალიან მიხარია, რომ ჩვენ ეს საგანი გვექნება, ცხადია, იმის გათვალისწინებით, რომ მისი სწავლება კარგად განხორციელდება. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, ჩემი ოჯახი, სკოლა, მეგობრები, თანატოლები, ჩემი გარემო, მედია და ინფორმაცია, ჩემი ქვეყანა – ეს მართლაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თემებია, რომელსაც ბავშვი უნდა იცნობდეს, რომ უკეთ შეძლოს საზოგადოებაში თანაცხოვრება და ორიენტაცია.“*

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოყოფილია პრიორიტეტული მიმართულებები, რომელზეც უნდა გაკეთდეს აქცენტი. ეროვნული სასწავლო გეგმა ორი მიმართულებით ხორციელდება – საკლასო და კლასგარეშე აქტივობები. ეს მიმართულება ადრეც იყო, მაგრამ ახლა უფრო გაძლიერდა და სულ უფრო მეტად ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ გადაიტანონ სამოქალაქო განათლების კომპონენტი არა მხოლოდ საკლასო აქტივობად, არამედ კლასგარეშე აქტივობებად და პროექტებად ისე, რომ კონტროლის მექანიზმიც შეინარჩუნონ და შედეგებზეც იყვნენ ორიენტირებული, რადგან მთავარია შედეგი და არა პროცესი. ამიტომ აქაც გამოიყო პრიორიტეტული მიმართულებები**:** წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების უნარების განვითარება; ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის დამკვიდრება; სამეწარმეო უნარების განვითარება და ინიციატივების წახალისება; ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და უსაფრთხოების დაცვა; გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის; კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლება და სხვ.

გარკვეული ცვლილებები განხორციელდა საათობრივ ბადეში. დაზუსტდა შინ სწავლებასთან დაკავშირებული რეგულაციები, მანამდე მხოლოდ სსსმ მოსწავლეებისთვის არსებობდა.

„ჩვენ არ გვინდა ისეთი ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც ვერავის აცნობიერებინებს რა, როგორ და რატომ გვინდა. დამერწმუნეთ, ექსპერტებთან დისკუსია ასეთ საკითხებზეც კი ხშირად გვქონია – როგორი უნდა იყოს დოკუმენტის ენა, მისი წაკითხვა არა მხოლოდ მასწავლებელმა, არამედ იმ ადამიანმაც შეძლოს, ვინც ჩართული არ არის სასწავლო პროცესში. მაგალითად, მშობელმა, რომელიც დავალების მომზადებაში ეხმარება შვილს, მაგრამ საგანმანათლებლო ტერმინოლოგია მისთვის არ არის ნაცნობი.“

ნებისმიერი სიახლის დანერგვა, საგანმანათლებლო სისტემაში, სამ დონეზე – სისტემის, ორგანიზაციის და ინდივიდის – მიმდინარეობს. ეროვნული სასწავლო გეგმა ის დოკუმენტია, რომელიც სავალდებულოა ყველა საჯარო და კერძო სკოლისთვის (თუმცა, როგორც პრეზენტაციაზე განმარტეს, კერძო სკოლები კიდევ მეტად განთავისუფლდნენ ზედმეტი ჩარევებისგან, მაგრამ ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში გარკვეული კონტროლის მექანიზმები მაინც შენარჩუნდა). ერთია, როგორია ეროვნული სასწავლო გეგმა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი დანერგვა სისტემის, ორგანიზაციებისა და ინდივიდების დონეზე. ნათია ჯოხაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროცედურები, რომლებიც პედაგოგებისა და დირექტორებისთვის დამღლელი, არასასურველი და გამაღიზიანებელი იქნება, უკვე არაეფექტიანია. ამიტომაც, რაც შეიძლება მეტს ფიქრობენ, მარტივი პროცედურებით როგორ გახადონ სისტემა შედეგზე ორიენტირებული ისე, რომ პროცესებში არ დაიკარგონ. სწორედ ამიტომაა ძალიან მნიშვნელოვანი, საკანონმდებლო დონეზე და ინსტრუქციებში, მსგავსი საკითხების გაწერა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სწორი ადმინისტრაციული და ორგანიზაციული მოწყობა, სწორად ჩამოყალიბებული ვალდებულებები, კომპეტენციები და კოორდინაციის სისტემები. ამ მიმართულებით კი, როგორც მონიტორინგის კვლევამ გამოავლინა, სერიოზული ხარვეზებია. *„ცხადია, მომზადებული ადამიანური რესურსის – მასწავლებლების – გარეშე ეს ვერ მოხდება, მაგრამ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ სკოლის მენეჯმენტს – ადმინისტრატორებს“* – განაცხადა ნათია ჯოხაძემ. დირექტორებზე აქცენტის გაკეთება მთელი რიგი კვლევების შედეგია, რადგანაც სწორედ კვლევები აჩვენებს, რომ ორგანიზაცია, სადაც კარგი მენეჯერია, წარმატებულია. აქედან გამომდინარე, მასწავლებლის კვალიფიკაციასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია იმ დირექტორის როლი, რომელიც კარგი კვალიფიკაციის მასწავლებელს არჩევს, ხელს უწყობს, ორგანიზებას უკეთებს მთელ რიგ პროცესებს და ორიენტირებულია განვითარებაზე.

თანამედროვე საგანმანათლებლო რესურსები, ფიზიკური და ტექნიკური ინფრასტრუქტურა, ელექტრონული მართვის სისტემები და სკოლების დეცენტრალიზაცია – დელეგირების ეს რეალისტური მექანიზმები ეროვნული სასწავლო გეგმების განხორციელების დამატებით ხელშემწყობ ფაქტორებად დასახელდა. *„რეალურად, ხშირ შემთხვევაში, სკოლა რაიმე გადაწყვეტილების მისაღებად სამინისტროში რეკავს და ამაზე მთელი დეპარტამენტი მუშაობს. არადა, ეს გადაწყვეტილება ლოკალურადაა მისაღები. მაგალითად, სკოლამ ბავშვს, წლიდან წლამდე, უნდა დაუნიშნოს გამოცდა ან შემაჯამებელი დავალება. ვფიქრობთ, ასეთი საკითხების დელეგირება ადგილებზე, სკოლებში უნდა მოხდეს. მათ უნდა მივცეთ უფლებები და აუცილებლად მივაყოლოთ პასუხისმგებლობა, რადგან პასუხისმგებლობა ყოველთვის უფლების თანამდევია.*

ეროვნული სასწვლო გეგმის კარგად დანერგვას და განვითარებას ხელს შეუწყობს ორიენტირებული მონიტორინგისა და შეფასების სისტემების დანერგვა. თუ სისტემის ყველა კომპონენტი კოორდინირებულად იმუშავებს, ყველას სწორად ექნება განსაზღვრული ფუნქცია და ვალდებულება, აუცილებლად შევძლებთ, რომ სისტემა უკეთესი გავხადოთ.“ – აცხადებს ნათია ჯოხაძე.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის პრეზენტაციას სამთავრობო უწყებების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგები და დირექტორები დაესწრნენ.

ლალი ჯელაძე

კონკურსი „ვკითხულობთ რუსთაველს“ 15 წლისაა

მაკა ყიფიანი

30 მაისს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის „აუდიტორიაში“, ჩატარდა ტრადიციული კონკურსის „ვკითხულობთ რუსთაველს“ დასკვნითი ტური. 2002 წლიდან პროექტი ხორციელდება საქართველოს მასშტაბით და ბოლო სამი წელია, ქვეყნის ფარგლებს გარეთ საგანმანათლებლო სივრცეში, კერძოდ, სომხეთსა და იმერხევში. პროექტის დებულების თანახმად, კონკურსანტებს საშუალება ჰქონდათ, სასურველ ენაზე წარმოედგინათ შერჩეული ეპიზოდი, ინსცენირება პოეტური ნამუშევრის, ნახატის ან კოლაჟის სახით; ეფიქრათ და თავისი შეხედულება გამოეხატათ თავისუფალი თემით. გამარჯვებულ კონკურსანტებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები და დიპლომები, ყველა მონაწილე კი სიგელით დაჯილდოვდა. ტრადიციულად, პროექტი წელსაც საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ძალისხმევით განხორციელდა. თბილისის 24-ე საჯარო სკოლამ კონკურსის ორი ეტაპი საკუთარ ბაზაზე, სკოლის სივრცეში ჩაატარა, რადგან ამ პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **თამარ ბარისაშვილია**. დასკვნითი ტური საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან დაფუძნებული რუსთაველის კლუბის თანადგომით წარიმართა. კონკურსი „ვკითხულობთ რუსთაველს“ 15 წლისაა.

ლიტერატურულ კონკურსს ჟიური აფასებდა. ჟიურის თავმჯდომარე იყო **მირიან ხოსიტაშვილი**, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე; ჟიურის წევრები იყვნენ: **მაია კობახიძე,** საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი; **რუსუდან ჭუმბურიძე,** განათლების სამინისტროს ქართული ენისა და ლიტერატურის ექსპერტი; **ლალი დათაშვილი,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; **ლია კარიჭაშვილი,** რუსთველოლოგი, თსუ ასოცირებული პროფესორი; **პარმენ მარგველაშვილი,** მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; **ქეთი სირაძე,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; **მარინა ტომასოვა,** თბილისის 37-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი.

დასკვნით ტურში, ლიტერატურულ კონკურსში მოპოვებული წარმატებისთვის, ნომინანტები დაჯილდოვდნენ შემდეგ ნომინაციებში:

• „შემოქმედება“ – **გიორგი ობოლაშვილი**, – თბილისის 23-ე საჯარო სკოლა;

• „მხატვრული კითხვა“ – I ადგილი – **ლიკა შაკიაშვილი,** თბილისის 24-ე საჯარო სკოლა; II ადგილი – **გიორგი ილარიონოვი**, თბილისის კერძო სკოლა „ინტელექტი“; III ადგილი – **გოგა სელიმაშილი,** ბოლნისის რაიონის, დაბა კაზრეთის №1 საჯარო სკოლა;

• „კომპოზიცია“ – I ადგილი – **ანა მაჭარაშვილი, ანი მოდებაძე, ნიგარ მამედოვა,** ბოლნისის №1 საჯარო სკოლა; II ადგილი – **ვაჟა ლომაური, ნიკა გაგუა, გიორგი თავდგირიძე,** თბილისის 24-ე საჯარო სკოლა; III ადგილი – **ნანი ჩადუნელი, ნათია მაჭავარიანი,** ახალციხის მე-5 საჯარო სკოლა;

• „გამორჩეული მკითხველი“ – **ლუკა ანჯაფარიძე**, თბილისის 140-ე საჯარო სკოლა; **თამარ ჭიპაშვილი**, ხარაგაულის მე-2 საჯარო სკოლა;

• „ორიგინალური შესრულება“ – **გიორგი ბიბიაშვილი, თამაზ ბულაშვილი, მარიამ გვილია, მარიამ კაკაშვილი, დავით მელაშვილი, ნიკა პაპკიაური, ლალი პეტრიაშვილი, გოგა ჩიქოვანი, ივერ ჩხეტია, ნათია ჭედია,** თბილისის კერძო სკოლა „ფესვები“;

• „თავისუფალი თემა“ – I ადგილი – **ანა პუგუნეცი,** თბილისის 37-ე საჯარო სკოლა; II ადგილი – **თამარ მესხიშვილი** და **ნინო ვართანაშვილი,** თელავის მე-2 საჯარო სკოლა; III ადგილი – **ანა სიჭინავა,** თბილისის 29-ე საჯარო სკოლა;

• „ნახატები“ – I ადგილი – **იამზე მჭედლიშვილი,** ახალციხის მე-5 საჯარო სკოლა, III კლასი; II ადგილი – **კოტე ლეკიშვილი**, ქალაქ ახალციხის მე-5 საჯარო სკოლა, V კლასი; III ადგილი – **ანა დობორჯგინიძე,** ახალციხის მე-5 საჯარო სკოლა; **რიფსიმე ვოსკანიანი,** თბილისის 37-ე საჯარო სკოლა;

• „საუკეთესო ნამუშევარი“ – **ნათია მაჭავარიანი,** ახალციხის მე-5 საჯარო სკოლა;

• „ჟიურის სიმპათია“ დაიმსახურეს მესამე კლასის მოსწავლეებმა: **შოთა ზვიადაძემ,** ხარაგაულის რაიონის, სოფელ კიცხის საჯარო სკოლა და **ნიკა დარსალიამ,** თბილისის 24-ე საჯარო სკოლა;

• „მეგობრობა გზად და ხიდად“ – გამარჯვებული გახდა ერევნის მხითარ სებასტაცის სახელობის სასწავლო კომპლექსი.

თამარ ბარისაშვილი, პროექტის „ვკითხულობთ რუსთაველს“ ხელმძღვანელი: *„მოგეხსენებათ, იუნესკომ 2016 წელი შოთა რუსთაველის წლად გამოაცხადა. ვფიქრობ, ქართველებისთვის ყოველი წელი რუსთაველს უკავშირდება, რადგან მისეული სიბრძნე თანამდევია თითოეული დღისა თუ ხანისა. წელს, პროექტი „ვკითხულობთ რუსთაველს“ 15-წლიან საქმიანობას აჯამებს და ამავდროულად, ტრადიციულად, ახალ-ახალ „სარკმელს“ ხსნის გენიალური ქმნილების შესამეცნებლად. მისასალმებელია, რომ პროექტი ხორციელდება საქართველოს მასშტაბით და მის საზღვრებს მიღმა საგანმანათლებლო სივრცეში – სომხეთსა და იმერხევში“.*

რუსუდან ჭუმბურიძე, ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის წარმომადგენელი, ქართული ენის ექსპერტი: *„მნიშვნელოვანია მსგავსი კონკურსების ჩატარება. მინდა მადლობა გადავუხადო კონკურსის ორგანიზატორებს, ეს ჩვენი მომავალი თაობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. წელს შოთა რუსთაველის წელია და არ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს, მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო პოემას და მის ავტორს აღიარებს, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ ძეგლს. კონკურსის მიმდინარეობით კმაყოფილი ვარ, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ღონისძიებაში მონაწილე ყველა მასწავლებელს და მოსწავლეს. ამ თაობას, რომელსაც დიდი სურვილი აქვს, გააცოცხლოს რუსთაველის შემოქმედება და რომელიც მას თავის თანამედროვედ მიიჩნევს. შემთხვევითი არ არის, როდესაც მოსწავლეები ასეთი სიყვარულითა და ინტერესით წარმოაჩენენ რუსთაველის გმირებს. მეც ვუერთდები მათ ემოციას და მომავალ წარმატებებს ვუსურვებ“.*

ქეთი სირაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი: *„მნიშვნელოვანია ამ ღირებულებებზე მომავალი თაობის აღზრდა. კონკურსში ბევრი საინტერესო მონაწილე გამოიკვეთა, ორიგინალური შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული, რამდენიმე მოსწავლეც ვიხილეთ, რაც მისასალმებელია. მრავალფეროვნება, რაც ამ კონკურსს ახლავს, მნიშვნელოვანია. მხატვრული კითხვა, გაფორმება, შემოქმედებითი კომპოზიციები, ფართო სპექტრში ხედვა კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს კონკურსის შინაარსს და საინტერესოს ხდის. კონკურსი მართლაც ღირებულია და ვისურვებდი, მომავალ წელს, უფრო მეტმა მოსწავლემ მიიღოს მონაწილეობა“.*

ლალი დათაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი: *„პირველ რიგში, მადლიერება მინდა გამოვთქვა კონკურსის ორგანიზატორების მიმართ. როგორც მოქმედმა პედაგოგმა კარგად ვიცი, მოსწავლეებს როგორ უჭირთ და არ უყვართ „ვეფხისტყაოსნის“ სწავლა, მაგრამ, როცა ამ ტიპის სამუშაოს ვთავაზობთ, სხვა კუთხით ვესაუბრებით პოემაზე, მათთვის ცოცხალი და გასაგები ხდება „ვეფხისტყაოსანი“. კონკურსი რუსთაველის „დაბრუნებას“ უწყობს ხელს. ქართველმა კაცმა მარტო სადღეგრძელოში კი არ უნდა იცოდეს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დიდი პოემაა და რუსთაველი – გენიალური პოეტი, არამედ პოემა მისთვის ცხოვრების ნაწილი უნდა იყოს. სასიხარულოა, რომ კონკურსში სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეები მონაწილეობენ, ეს არის საუკეთესო საშუალება, რათა მათ შეიყვარონ საქართველო, გაიგონ ქართული ხასიათი და ისწავლონ ჩვენი პატივისცემა.*

პარმენ მარგველაშვილი, მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე: *„მსგავსი ღონისძიებების მოწყობა ჰაერივით სჭირდება საქართველოს, რათა არ დავკარგოთ არსებითი საყრდენი, რომელიც ერს აქვს. სამწუხაროდ, ჩვენ ვცხოვრობთ ღირებულებითი სისტემის გარეშე. ასეთი კონკურსები ამკვიდრებენ იმ ღირებულებებს, რომელიც წარუვალია, რომლის გაფერმკრთალება, მიჩქმალვაც კი ხდება, საოცარი დროის, ტემპის, გლობალიზაციის მიერ მოტანილი ვირტუალური სამყაროსა და ამ სამყაროში ადამიანის დაბნეულობის გამო. კონკურსში რამდენიმე ჯგუფმა გამოიყენა ვიზუალური მხარე, რაც მისასალმებელია. ჩვენ ძალიან დიდი ძალისხმევა გვჭირდება იმისთვის, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებით ახლოს მივიდეთ იმ წარუვალ ღირებულებებთან, რომელთაც არათუ არ უნდა შეეხოს დრო, არამედ ყოველმა ეპოქამ სათანადოდ უნდა მიიღოს, მოირგოს და გაითავისოს*

წყარო – „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც დაუშრეტელია. ჩვენ უფრო ახლოს უნდა მივიდეთ ტექსტთან, იმ კონცეპტუალურ სააზროვნო სისტემასთან, რომელიც გამოარჩევს, პირველყოვლისა, ადამიანს, რომელიც გვაახლოებს ღმერთთან, არ გვაკარგინებს კავშირს წარსულთან და საფუძველს უქმნის მომავალს“.

მაია კობახიძე, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი: *„უკვე მეცხრე საუკუნეა, რაც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ სულიერ საზრდოს აძლევს საქართველოს და ჩვენი ერის სულიერი საუნჯეა. რუსთაველის პოემის სიბრძნეზე საუკუნეებია იზრდებიან თაობები, კაცობრიობის არსებობიდან არავის ღმერთისადმი, ცისადმი, დედამიწისადმი, მზისადმი, ვაჟკაცობისადმი, სიყვარულისა და მეგობრობისადმი ისე არ უმღერია, როგორც შოთა რუსთაველმა თავისი „ვეფხისტყაოსნით“. კონკურსში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები სწავლობენ პოემას, ისინი თავიანთ შეხედულებებს, პოემისადმი დამოკიდებულებას, სიყვარულს გამოხატავენ მხატვრულ კითხვაში, მათ მიერ შექმნილ ნამუშევრებში, კომპოზიციებსა და ნახატებში. ნათლად ჩანს, რომ მათ სულიერ აღზრდაში „ვეფხისტყაოსანი“ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.*

რინა შაგინიანი, ერევნის მხითარ სებასტაცის სახელობის სასწავლო კომპლექსის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: *„კონკურსში „ვკითხულობთ რუსთაველს“ მესამე წელია ვმონაწილეობთ. პოემის საშუალებით სომეხმა ბავშვებმა უკვე კარგად იციან საქართველოს კულტურა და ისტორია. მათ უყვართ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები. დიდი სიყვარულითა და ინტერესით კითხულობენ და სწავლობენ ფრაგმენტებს პოემიდან. ჩვენს სკოლაში ერთ-ერთ უცხო ენად, არჩევით საგნად, ქართული ენა ისწავლება. მინდა აღვნიშნო, რომ ფრანგულზე და ესპანურ ენებზე მეტად, ბავშვები ქართულ ენას ირჩევენ. ჩვენი სასწავლებლის დირექტორს, აშოტ ბლეიანს საქართველო ძალიან უყვარს, ის ყოველთვის შთააგონებს მოსწავლეებს, რომ, პირველ რიგში, მეზობელი ქვეყნის ენა ისწავლონ. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ჩვენს სკოლაში ყველას ძალიან უყვარს საქართველო და ქართული ენა. 14 აპრილს, ქართული ენის დღეს, ყოველწლიურად, საზეიმოდ აღვნიშნავთ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო პროექტის ორგანიზატორებს იმისთვის, რომ გვეძლევა საშუალება ჩავერთოთ პროექტში და ჩვენი მცირედი წვლილი შევიტანოთ. მე მიყვარს საქართველო და მიხარია, რომ მაქვს საშუალება, სომეხ მოსწავლეებს გავაცნო ქვეყანა, სადაც დავიბადე, აღვიზარდე, საშუალო და უმაღლესი განათლება მივიღე“.*

სიყვარულს უშენებია

30 მაისს, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საგანმანათლებლო შემოქმედებითი ინიციატივების ფარგლებში, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ხელოვნების განყოფილების, აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის „მომავლის ხმის“ და მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ლიტერატურის კაბინეტის ინიციატივით, სასახლის სარკეებიან დარბაზში, დიდი ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველის 850-ე წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო – „სიყვარულს უშენებია“ გაიმართა.

პროექტში მონაწილეობდნენ: აფხაზეთის №2 და №3 საჯარო სკოლების მოსწავლეები, აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის წევრები: **რეზი ჩაკვეტაძე, ანანო შელია, გიორგი შელია, საბა ანთია, ამირან მაისურაძე, ელენე კოპალიანი** და სხვ. მათ წაიკითხეს ნაწყვეტები რუსთაველის უკვდავი პოემიდან ქართულ, აფხაზურ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. წაიკითხეს აფორიზმები; ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვა ქართველი კორიფეების გამონათქვამები „ვეფხისტყაოსანზე“. საგამოფენო დარბაზში მოეწყო „ვეფხისტყაოსნის“ მოტივებზე შექმნილი ნახატების გამოფენა.

ღონისძიების საპატიო სტუმრები იყვნენ: რეჟისორი **ლანა ღოღობერიძე**, პოეტი **ბაღათერ არაბული**, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე **დავით შემოქმედელი**, ქალბატონი **ლალი მიქაძე** და სხვ.

დასასრულს, ღონისძიების მონაწილე მოსწავლეებს რუსთაველის საზოგადოების სპეციალური დიპლომები გადაეცათ.

„საქართველოვ, გულო ჩემო“

26 მაისს, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ხელოვნების განყოფილების, აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის „მომავლის ხმა“ ინიციატივით, მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის 25-ე წლისთავისა და ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას დაბადების 77-ე წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო ეგიდით — „საქართველოვ, გულო ჩემო“.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლე ახალგაზრდობა, პედაგოგები, სტუდენტები, აფხაზეთის ინტელიგენცია და მთავრობის წარმომადგენლები, დედაქალაქში მცხოვრები დევნილი მოსახლეობა, მეომართა კავშირისა და ქვეყნის ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა ოჯახის წევრები.

მერაბ კოსტავას ეზოში მოეწყო აფხაზეთის მხატვრებისა და შემოქმედი მოზარდების მხატვრული ნამუშევრებისა და ფოტოების გამოფენა ღია ცის ქვეშ.

ღონისძიების მონაწილეებმა სოფელ ხურჩაში მომხდარი ტრაგედიის გამო წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გიგა ოთხოზორიას ხსოვნას.

აფხაზეთის №2 და №3 საჯარო სკოლების აღსაზრდელებმა წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია „ვაჟკაცსა გული რკინისა“ და „საქართველოვ, გულო ჩემო“.

ნორჩმა დეკლამატორებმა: **ანა კოპალიანმა, ელენე კოპალიანმა, საბა ანთაძემ, სანდრო ბასარიამ, გიორგი შელიამ, ალექსი ბასარიამ, რეზი ჩაკვეტაძემ, ანა შელიამ, საბა ჩიყოშვილმა, გელა ფარულავამ** და სხვებმა წაიკითხეს ცნობილი ქართველი პოეტების ლექსები აფხაზეთსა და სამშობლოზე.

ღონისძიება მიჰყავდათ შემოქმედ ბავშვთა კავშირის წევრებს, აფხაზეთის №3 საჯარო სკოლის მოსწავლეებს **ანა შელიას** და **რეზო ჩაკვეტაძეს**.

ღონისძიების საპატიო სტუმრები იყვნენ: თბილისის მერი **დავით ნარმანია**, კულტურის სამსახურის უფროსი **ია მაქაცარია**; პოეტები: **თინათინ მღვდლიაშვილი, მანონი ბულისკერია, ჯულიეტა მილდიანი**; აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: **ნუგზარ მგალობლიშვილი** და **თემურ ბჟავია**; ეროვნული დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერი პირები, საფრანგეთში ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელი **ოთარ პატარიძე**, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მეგობრები და თანამებრძოლები.

პროექტის მხარდამჭერები იყვნენ: თბილისის მერია, აფხაზეთის ა/რ მთავრობა, მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმი და თბილისის მთაწმინდის რაიონის გამგეობა.

ნონა ბერაია

„მე ჩემი ქვეყნის მეგზური ვარ“

აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს,
ეს კაცია ალბათ თურქის თემის,
და მე ვყვირი: ჩემს სისხლს დალევს უწინამც,
და მე ვყვირი:
აფხაზეთი ჩემი.
როსმე „არგო“ (სხვა ხომალდი გუშინაც)
მიაპობდა ზვირთებს ნიჩბის ცემით...
და მე ვყვირი: მკვდარსა მნახვენ უწინამც.
და მე ვყვირი:
აფხაზეთი ჩემი.
ზღვაო პონტის! რიფებს მალავ უჩინარს!
არაერთის ზედ მიემსხვრა გემი
და მე ვყვირი: ოხ, უწინამც, უწინამც,
და მე ვყვირი:
აფხაზეთი ჩემი.

აფხაზეთი ოდითგანვე იყო ერთ-ერთი კულტურული ცენტრი, სვიმონ კანანელმა აქედან დაიწყო ქრისტიანობის გავრცელება. ლიხნში, ბედიასა და ბიჭვინთის ტაძრებში ქართულად აღევლინებოდა წირვა-ლოცვა და სულიერად იმართებოდა საქართველო. – ამ სტრიქონებით დაიწყო, 5 მაისს, აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა და ახალგაზრდობის კავშირის „მომავლის ხმა“ და მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის საერთაშორისო ურთიერთობათა კაბინეტის ერთობლივი საგანმანათლებლო შემეცნებითი პროექტი „მე ჩემი ქვეყნის მეგზური ვარ“, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან (ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, სიღნაღი, ლაგოდეხი, საგარეჯო, მარნეული, რუსთავი, წეროვანი, ბორჯომი, სენაკი, საჩხერე და სხვ.) ჩამოსული მოსწავლე ახალგაზრდები.

აფხაზეთის ბავშვთა და ახალგაზრდობის კავშირის ნორჩმა გიდებმა: **ანა ყვავილაშვილმა, მარიამ გოგოხიამ, ანა ქვარცხავამ, ანა შელიამ, ანანო კალანდიამ, ელენე შელიამ, რეზი** და **ანა ჩაკვეტაძეებმა, საბა მაისურაძემ** და სხვებმა პროექტის მონაწილეებს გააცნეს აფხაზეთის ისტორიული წარსული და ფოლკლორული ელემენტები – ლექსები, სიმღერები, მითები და ლეგენდები ქართულ და აფხაზურ ენებზე; ქართული ხუროთმოძღვრების უბრწყინვალესი ნიმუშები.

X საუკუნის მიწურულის ბედიის სამონასტრო კომპლექსი, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ მესამე ბაგრატიონის მიერ „საყრდრად საეპისკოპოსოდ“ აგებული, შუა საუკუნეების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საეკლესიო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იყო, სადაც მიმდინარეობდა ძველ ხელნაწერთა განახლება-რესტავრაცია, საღვთისმეტყველო წიგნების თარგმნა და ახალი ხელნაწერების შექმნა. ნაჩვენები იქნა ვაშლიჯვრის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ შესრულებული ვერცხლის ბარძიმი – ბედიის ეკლესიის სამკაულის, ქართული ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუშის, ბედიის ოქროს ბარძიმის ასლი.

იოანე ოქროპირის სახელთან დაკავშირებულ კომანის ეკლესიაზე და 1998 წლის საომარი მოქმედებების დროს დახვრეტილ, ტაძრის წინამძღვარ მამა ანდრია ყურაშვილსა და აფხაზი მამულიშვილის, იური ანუას სიცოცხლის ტრაგედიაზე ისაუბრეს **მარი გოგოხიამ** და **ანა ქვარცხალიამ**.

ღონისძიების მსვლელობისას ნაჩვენები იქნა აფხაზეთის ღირსშესანიშნავი ადგილებისა და ხუროთმოძღვრების ძეგლების (ილორის ეკლესია, ბესლეთის ხიდი, ღუმურიშის ეკლესია, ჭუბურხინჯის ეკლესია, ბიჭვინთის ტაძარი, სვიმონ კანანელის ტაძარი, ანაკოფიის ციხე, დრანდის ეკლესია, მოქვის ტაძარი, ლიხნის ტაძარი) ამსახველი ფერადი სლაიდები. დასასრულს გაიმართა კონცერტი, ადგილობრივი და ჩამოსული მოსწავლეების მონაწილეობით. პროექტის მონაწილე ბენეფიციარები მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლისა და აფხაზეთის ახალგაზრდობის შემოქმედებითი კავშირის სპეციალური დიპლომებითა და სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

ჩვენ, აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლე ახალგაზრდობა, მომავალშიც აქტიურად ვითანამშრომლებთ მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის რეზო თაბუკაშვილის სახელობის ბავშვთა საერთაშორისო ურთიერთობათა კაბინეტთან და ვიქნებით ჩვენი სამშობლოს ღირსეული მამულიშვილები.

ანა შელია
აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა და ახალგაზრდობის კავშირის „მომავლის ხმა“ საკოორდინატო საბჭოს წევრი, აფხაზეთის №3 საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

თვალსაზრისი

როგორ გავხადოთ სწავლა-სწავლების პროცესი საინტერესო

თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს მასწავლებელს სწავლება საინტერესო, ხოლო მოსწავლეს – სწავლა სასიამოვნო პროცესად აქციოს.

სწავლა, როგორც ასეთი, არ არის იოლი და შესაბამისად, სასიამოვნო პროცესი, ამიტომ მასწავლებელმა სწავლების ისეთი მეთოდები უნდა გამოიყენოს, ისე წარმართოს გაკვეთილი, ისეთი გარემო შექმნას, რომ მოსწავლემ კმაყოფილება თავისი შრომის შედეგით მიიღოს. ეს, რა თქმა უნდა, ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ შესაძლებელია, რომ თითოეულ გაკვეთილზე დასახული მიზნის მიღწევა ვაქციოთ მოსწავლისთვის თავისი შრომის შედეგად, თუ ის ამ მიზნის მიღწევას საკუთარი ძალებით მოახერხებს და თვითონ აღმოაჩენს ცოდნას. სხვაგვარად თუ ვიტყვით, სწავლება მაშინ იქნება ეფექტური, სწავლა კი წარმატებული, როცა მოსწავლე მასალის შესწავლის მიზეზსა და მიზანს გაიგებს. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეები მოტივირებულებიც იქნებიან და ხალისითა და ინტერესითაც ჩაერთვებიან სასწავლო პროცესში.

მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ სწავლას პრაქტიკული დანიშნულება აქვს, სარგებლობა და სიხარული მოაქვს, რაც სტიმულს მისცემს და შინაგან კმაყოფილებას გამოიწვევს. „მოსალოდნელი წარმატების ალბათობაც კი უფრო მეტ მოტივაციას აღძრავს, ვიდრე დამარცხების წინაშე შიში“. ხშირად მოსწავლეებმა არ იციან, როგორ მიაღწიონ მიზანს, ამიტომ უნდა დავეხმაროთ მათ მიზნის მისაღწევი საშუალებების შერჩევაში. დავალებები უნდა მოვარგოთ მათ შესაძლებლობებს და გავითვალისწინოთ მათი მოთხოვნილებები.

ინდივიდის ქცევა მიზეზის გარეშე არასოდეს იწყება, ის წინასწარაა განწყობილი მოქმედებისადმი, აქტივობის წყარო კი მოთხოვნილებაა. იქ, სადაც არავითარი მოთხოვნილება არ არსებობს, არც აქტივობაზე შეიძლება ლაპარაკი.

თუ „განწყობის თეორიას“ სასწავლო პროცესში განვიხილავთ, მივხვდებით, რომ მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩართვისთვის სპეციალური განწყობა სჭირდება, რომელიც მის ძალებსა და უნარებს აამოქმედებს, ამიტომ, როგორც დიმიტრი უზნაძე ამბობს, სასწავლო პროცესი ისე უნდა ავაგოთ, რომ მოსწავლეს ადამიანისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მოთხოვნილება – ინტელექტუალური მოთხოვნილება (ცნობისმოყვარეობა) ცოდნის წყურვილში გადაეზარდოს, რის საფუძველზეც მოსწავლეს თვითონ გაუჩნდება სწავლის მოთხოვნილება და მისი შესაბამისი განწყობაც.

თუ ზემოთქმულს სქემის სახით წარმოვადგენთ, ასეთ სურათს მივიღებთ:

სასწავლო აქტივობა	**(ისეთი უნდა იყოს)**
	↓
ინტელექტუალური მოთხოვნილება	**(აღძრავს ცნობისმოყვარეობას)**
	↓
ცოდნის წყურვილი	**(წარმოშობს)**
	↓
სწავლის მოთხოვნილება	**(გაუჩნდება)**
	↓
განწყობა	**(შექმნის)**
	↓
ქცევა	**(განახორციელებს)**

მოსწავლეებმა თვითონ უნდა ააგონ ცოდნა ამა თუ იმ საკითხის შესახებ, აღმოაჩინონ და გარდაქმნან ინფორმაცია იმისთვის, რომ ახალი ცოდნა გაითავისონ, ე.ი.ძველი და ახლად შეძენილი ინფორმაციის დამუშავების გზით ცოდნის „კარკასის“ კონსტრუირება დამოუკიდებლად განახორციელონ. ასეთ შემთხვევაში აღიქმება სწავლა სასიამოვნო პროცესად.

მოსწავლე აუცილებლად ფლობს სხვადასხვა სახის ინფორმაციას ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ კი მისი გამოყენების საშუალება უნდა მივცეთ, რაც მოტივაციასაც აამაღლებს და თვითდაჯერებულობასაც. ამ დროს კარგია სხვადასხვა კოგნიტური სქემების გამოყენება, ასოციაციური რუკის შედგენა, ციტატების, წესების გახსენება განვლილი მასალიდან და ახალ მასალასთან დაკავშირება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოსწავლეს რეალური ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს, რაც საშუალებას მისცემს პარალელი გაავლოს თეორიულ ცოდნასა და მის პრაქტიკულ გამოყენებას შორის. მაგ.: თუ ბუნებაში ვსწავლობთ ჰაერის მოძრაობას, კარგი იქნება გაიხსენონ ჩაიდანში წყლის ადუღების პროცესი – როგორ ადის ცხელი ჰაერი ზევით.

იმისთვის, რომ დავარწმუნოთ მოსწავლეები ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობაში, შესასწავლი მასალა მაქსიმალურად უნდა მივუახლოვოთ რეალობას. მაგ.: ბუნების, მათემატიკის გაკვეთილებზე სხვადასხვა ხელსაწყოს, ფიგურის დამზადება შემდგომში სასწავლო რესურსად გამოყენების მიზნით; ისეთი ამოცანების ამოხსნა, რომელიც ყოველდღიურობასთანაა დაკავშირებული. ინტერესის გამოწვევის მიზნით, კარგი იქნება დავავალოთ შესასწავლი საკითხის ირგვლივ საინტერესო ცნობების მოძიება. ისინი მიეჩვევიან ინფორმაციის დამუშავებას, შეიძენენ კვლევის უნარ-ჩვევებს, თავს იგრძნობენ „დიდებად“. კარგი იქნება ყურადღების გამახვილება საგანთა შორის კავშირებზე, პროექტებზე მუშაობა, ექსკურსიები ბუნებაში, რაც საშუალებას მისცემს მათ, მიღებული ცოდნა რეალურად გამოიყენონ ცხოვრებაში, ეს კი მნიშვნელოვანი მოტივაციაა სწავლისადმი ინტერესის გაღვივების პროცესში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიაა თამაშით სწავლება. დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისთვის თამაში ურთიერთობის ყველაზე ნაცნობი და, მაშასადამე, ყველაზე მიმზიდველი ფორმაა, განსაკუთრებით I-II კლასებში, როგორიცაა „ლოტო წინადადებებით“, „ვესროლოთ ერთმანეთს სიტყვები“, „დაკარგული ასოები“, „დაბნეული მარცვლები“, „ლოტო ზმნებით“, „მათემატიკური ფანტაზია“ და სხვ.

თამაშისთვის დამახასიათებელია შემოქმედებითი თავისუფლება, კმაყოფილება არა მხოლოდ შედეგით, არამედ პროცესით. თამაში არის კომუნიკაციისა და თვითრეალიზაციის საუკეთესო საშუალება, სტიმულიცაა და ჯილდოდაც შეგვიძლია გამოვიყენოთ.

მასწავლებლებმა კლასში უნდა შევქმნათ სწავლა-სწავლებისთვის ხელსაყრელი გარემო და სათანადო განწყობა, სწავლების პროცესი ისე უნდა წარვმართოთ, რომ გავითვალისწინოთ მოსწავლის ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებები, გავზარდოთ მშობელთა ჩართულობა, გავხადოთ ისინი პარტნიორებად ამ პროცესში, ვითანამშრომლოთ ჩვენს მოსწავლეებთან ისე, რომ ისინი სიხარულით მოდიოდნენ სკოლაში.

ნათია დარჩია
სსიპ ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლის წამყვანი პედაგოგი

სასკოლო აქტივობა

„თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრია...

„აჰა მაისი ...ვარდების და სხივთა ლაშქარი!
ირგვლივ უსაზღვრო სურვილების ლაღი დინება!
ბნელეთში მძაფრი შეტაკება, ქარი აშარი
და ოცდაექვსში საქართველოს აღორძინება.“

დარბაზი გაირინდა, უსმენდნენ **ანანო დავლაძისა** და **გიორგი სხირტლაძის** მიერ წაკითხულ ლექსს, მქუხარე ტაშმა შეაზანზარა იქაურობა – ასე დაიწყო 26 მაისს, ჭიათურის რაიონის სოფელ ზოდის საჯარო სკოლაში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო, დევიზით: „თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრია“.

მრავალი კარგი ღონისძიების ინიციატორია სკოლის ბიბლიოთეკა და ახლაც, ჩემი ორგანიზებით, გაიმართა ლიტერატურული საღამო, რომელიც მუსიკალურად გააფორმა მუსიკის მასწავლებელმა, **ნინო ჭუმბურიძემ**.

III-VII-კლასელებმა დამაჯერებლად მიიტანეს მსმენელამდე, ვახტანგ გორგასლიდან დაწყებული დღემდე, საქართველოს ისტორია. მოსწავლეების მიერ წაკითხული ქართველი პოეტების ლექსები სრულად იყო შერწყმული საქართველოს ისტორიის წარსულიდან მოხმობილ არგუმენტებთან. მათ კიდევ ერთხელ შეგვახსენეს ჩვენი ერის მრავალჭირნახული გზის სიწმინდე და ის თავდადება, რაც საქართველოს გადასარჩენად გამოავლინეს ჩვენმა სახელოვანმა მამულიშვილებმა.

ლექსს სიმღერა სცვლიდა, სიმღერას – ცეკვა, არაჩვეულებრივმა სიმღერებმა დაიპყრო დარბაზი, მაყურებელი მონუსხული უსმენდა **ელენე ჭიღლაძის**, **ნესტან სამხარაძის**, **საბა იობაშვილის** მიერ შესრულებულ სიმღერებს. იმ დღეს სკოლაში ნამდვილი ქართული სული ტრიალებდა.

ღონისძიებაზე დამსწრე მშობლები, პედაგოგები და მოსწავლეები კმაყოფილი დარჩნენ: **ანა** და **ვერიკო დავლაძეების**, **გიორგი სხირტლაძის**, **ოთარ** და **ნათია გამყრელიძეების**, **საბა** და **ნათია ყაველაშვილების**, **თეონა დემეტრაშვილის**, **მარიამ**

და **ელენე ჭიღლაძეების**, **ნესტან სამხარაძის**, **ხატია ნოზაძის**, **ბაქარ გიორგაძის**, **ნინო გაბრიჭიძის**, **ბუხუტი** და **საბა იობაშვილების** გამოსვლებით.

მსგავს ღონისძიებებს უდიდესი აღმზრდელობითი დატვირთვა აქვს – მოსწავლეებს უმაღლებს პატრიოტულ სულს, ასწავლის ტრადიციებისადმი ერთგულებასა და წარსულისადმი პატივისცემას, სძენს ქართული ლექსით ტკბობის უნარს, უღვიძებს ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლის ჟინს და უფაქიზებს გრძნობას.

საღამოს დასასრულ, სცენიდან კვლავ ანდერძად გაისმა:

„დიად მეფეთა შთამომავლის მარადის გშვენის,
ერთ მუშტად შეკრულს ვეღარასდროს ვერავინ სძლევდეს,
ერთიან, ძლიერ საქართველოს ეს ლოცვა ჩემი,
დედაო ღვთისავ, სანთელივით გზას უნათებდეს“.

ზოდის საჯარო სკოლის დირექტორმა **ნონა ყაველაშვილმა** მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებსა და მოსწავლეებს საინტერესო საღამოს ჩატარებისთვის და მომავალში წარმატებები უსურვა.

მადლობა ამ უნიჭიერეს გოგო-ბიჭებს, რომელთაც სხვადასხვა ღონისძიებებით არაერთხელ ასახელეს მშობლიური ზოდის საჯარო სკოლა.

თამარ გამყრელიძე
სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოდის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის გამგე

სასკოლო აქტივობა

სიტყვა საქმიანი და საქმე შედეგიანი

ზამთრის ძილისაგან გამოღვიძებულმა ბუნებამ, გაზაფხულის სითბომ და სილამაზემ ჩვენი სკოლის ცხოვრებაში ახალი მუხტი შემოიტანა. ყველას გაუჩნდა სურვილი ბუნების ამ დღესასწაულის აქტიური მონაწილე გამხდარიყო და თავისებურად გამოეხატა დამოკიდებულება საგაზაფხულო დღეების უკეთ წარმოჩენისათვის.

სსიპ ქალაქ თბილისის 219-ე საჯარო სკოლის პედაგოგებმა გადაწყვიტეს, საგნობრივი კვირეულების ჩატარებით წარმოეჩინათ მთელი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შედეგები. საგნობრივ კათედრებზე შემუშავდა კვირეულების პროგრამები და დროც ისე განაწილდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ღონისძიებათა სწორად ჩატარება. კვირეულების ციკლი, დილის ხაზზე შრომითი, ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის კათედრის ხელმძღვანელმა **ლამარა ჭინჭარაულმა** გახსნა. სკოლის ფოიეში გამოიფინა ხელოვნების მასწავლებლების – **ლამარა ჭინჭარაულისა** და **ნანა მარღიშვილის** მოსწავლეთა მიერ შესრულებული ხელნაკეთი ნამუშევრები და ნახატები.

მუსიკის მასწავლებელმა **ნატალია წიკლაურმა** VII კლასში, ღია გაკვეთილზე, განიხილა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. მოსწავლეებმა წინასწარ მოამზადეს ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ბუკლეტი. ბავშვებმა მოისმინეს აბესალომის, ეთერისა და მურმანის არიები.

მე-3 კლასში ღია გაკვეთილი ჩაატარა მუსიკის მასწავლებელმა **ციური კუტიბაშვილმა**. გაკვეთილის თემა იყო „ადვილია გახდე შემსრულებელი“.

სპორტის მასწავლებელმა **ირაკლი არაბულმა** ჩაატარა ღია სამოდელო გაკვეთილი IV და V კლასებში, მოაწყო ამანათრბენი 4×50 მეტრზე.

სკოლის გოგონათა და ვაჟთა ფრენბურთის გუნდებმა, მისი ხელმძღვანელობით, მონაწილეობა მიიღეს თბილისის სამგორის რაიონის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ფრენბურთის ტურნირში. ვაჟთა გუნდმა წარმატებას მიაღწია და ვერცხლის მედალი აიღო. ასევე წარმატებით დაგვირგვინდა VIII კლასის მოსწავლის, **პავლე კუდიანაშვილის** ასპარეზობა თბილისის კრივის ჩემპიონატში, სადაც მან ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი მოიპოვა.

საკმაოდ შთამბეჭდავი იყო ცეკვის მასწავლებელ **ხათუნა მძელურის** გაკვეთილი – ქართული ცეკვის ხელოვნება. საოცარია იმ ერთი საათის შედეგი, რომელიც ცეკვას ეთმობა, მოსწავლეთა უმრავლესობას ტანი სწორად უჭირავს, თითქმის ფლობენ ქართულის, დავლურისა და მთიულურის ილეთებს. სამწუხაროა, რომ არ არის საშუალება მათ მომდევნო წელსაც გააგრძელონ აღნიშნული საგნის შესწავლა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის კვირეულმა აიღო სტარტი – ფიზიკის მასწავლებელ **შორენა ლომიძის** ინიციატივით, მოეწყო სკოლის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება, გაიწმინდა საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნაგვისგან დაბინძურებული არხის კალაპოტი, დაახლოებით, 150 მეტრის მანძილზე. ადგილობრივი მოსახლეობის გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით, დამზადდა და მოსახლეობაში გავრცელდა საინფორმაციო ფურცლები გარემოს დაბინძურების სავალალო შედეგების შესახებ. სკოლის მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის ფოიეში მოეწყო პრეზენტაციები თემებზე: „ფოტოსინთეზი მწვანე მცენარეებში“ და „ცხოვრება პოლიეთილენის გარეშე“. ბიოლოგიის მასწავლებელ **მარინა ასლანიშვილის** მიერ სკოლის ეზოში არსებული ბაღჩა შეივსო ახალი ყვავილებით.

ქიმიის მასწავლებელმა, **მედეა ტატიშვილმა** ჩაატარა გასვლითი გაკვეთილი ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც XI კლასის მოსწავლეებმა ქიმიურ ლაბორატორიაში ჩაატარეს ცდები სპირტის ქიმიურ თვისებებზე.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის კვირეული – ისტორიის მასწავლებლებმა, **ლია იობაშვილმა** და **მაია ავალიშვილმა** გამოუშვეს კედლის გაზეთი „9 აპრილი“, რომელიც მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებულ გმირებს; გეოგრაფიის მასწავლებელმა **ნანა გიგაურმა** VIII კლასში ჩაატარა ღია გაკვეთილი თემაზე „აფრიკა“; გეოგრაფიისა და ისტორიის მასწავლებლებმა X და XI კლასებში ჩაატარეს ვიქტორინა, რომელშიც გაიმარჯვა X კლასის გუნდმა „არგო“. მოეწყო ექსკურსია საქართველოს პარლამენტში, საქართველოს დამოუკიდებლობის 25-ე წლისთავთან დაკავშირებით; მაია ავალიშვილმა და ლია იობაშვილმა ჩაატარეს ღონისძიება „9 აპრილი“. VIII, IX, X და XI კლასების მოსწავლეებმა ქრონოლოგიურად წარმოადგინეს 1989 წლის ტრაგიკული მოვლენები. შავ სამოსში ჩაცმულმა მოსწავლეებმა სანთლებით ხელში ასახეს ჩვენი ქვეყნის უახლესი წარსული.

უცხო ენათა კათედრის კვირეული – ინგლისური ენის მასწავლებლებმა, **ნუნუ შინჯიკაშვილმა** და **ია ადიკაშვილმა** გამოუშვეს კედლის გაზეთები.

მეთერთმეტეკლასელებმა წარმოადგინეს შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“. **ნიკოლოზ წამალაიძემ** და **ნინო გავაშელიშვილმა** გაახმოვანეს ნაწარმოების ცნობილი ეკრანიზაციის მცირე მონაკვეთი.

რუსული ენის მასწავლებელმა **მაია კუდუხოვმა** მცირე პრეზენტაცია გამართა რუსული ენისა და ანბანის მნიშვნელობის შესახებ. პრეზენტაციას დაესწრნენ IV კლასის მოსწავლეები, ვინაიდან მომდევნო წლიდან იწყებენ ენის შესწავლას. მოსწავლეებმა წარმოთქვეს ლექსები რუსულ ენაზე.

ქართული ენისა და ლიტერატურის კვირეული მიეძღვნა კლასიკოსი პოეტის ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 155-ე წლისთავს. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა: **მარინე პეტრიაშვილმა, ნანა ქაცანაშვილმა, შორენა ძიძიკაშვილმა** და **სალომე ნიკოლიშვილმა** დაგეგმეს და განახორციელეს ღონისძიებები – კედლის გაზეთი „მთის არწივი“; ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი ილუსტრაციებისა და ნახატების გამოფენა; მინი-ექსკურსია ლოჭინის ხეობაში, მოსწავლეებმა ბუნების წიაღში წარმოთქვეს ვაჟა-ფშაველას ლექსები. ამავე დღეს, დაწყებით საფეხურზე, ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი. გამარჯვებული მოსწავლეები: **კესო ელისაბედაშვილი, ნია გოგოჭური, ნიკოლოზ რეხვიაშვილი** (I კლასი), **დიანა კუდიანაშვილი** (V კლასი), **ჯუნა გიორგაძე** (VIკლასი); ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“. საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებისგან შეიქმნა ორი გუნდი. მათ უპასუხეს შეკითხვებს ვაჟა-ფშაველას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე; სკოლის სააქტო დარბაზში ჩატარდა ღონისძიება, სადაც მოსწავლეებმა წარმოადგინეს ვაჟას პოეზია, მოგონებები, სიმღერები, ინსცენირებები „სტუმარ-მასპინძლიდან“ და „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა“. დაიგეგმა გასვლითი ექსკურსია ჩარგალში, ვაჟას სახლ-მუზეუმში.

მათემატიკის კათედრის კვირეული გაიხსნა მათემატიკის მასწავლებელ **შალვა ხუციშვილის** მოსწავლეთა მიერ შექმნილი თვითნაკეთი გეომეტრიული ფიგურების გამოფენით; მასწავლებლების – **ვინელი მაისურაძის, ნანული ბიჭაშვილის, შალვა ხუციშვილისა** და **ციცინო ფიფაიშვილის** ორგანიზებით, ჩატარდა მათემატიკური ვიქტორინა „ნორჩი ინტელექტუალი“. გაიმარჯვა გუნდმა „პირამიდა“.

დაწყებითი საფეხურის მაწავლებელმა **ნანული ბიჭაშვილმა** IV კლასში ჩაატარა ღია გაკვეთილი თემაზე „გეომეტრიული და სივრცითი ფიგურები“. გაკვეთილი დატვირთული იყო მრავალფეროვანი და სახალისო აქტივობებით.

VI, VII და XI კლასების მოსწავლეთა მონაწილეობით კონფერენცია ჩატარდა, რომელზეც წარმოდგენილი იქნა თემები: „ოქროს კვეთა“, „კარლ ფრიდრიხ გაუსი“.

კვირეულში აქტიურად ჩართული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სიგელებით.

ასე თანამიმდევრულად დაგეგმილი და განხორციელებული კვირეულებით, მრავალფეროვანი აქტივობებით შევძელით მოსწავლეებში სწავლისადმი მოტივაციის ამაღლება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება და წარმოჩენა.

ელიზავეტა გოგიჩაშვილი
დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

საუბრები ლიტერატურაზე

ქალისა და მამაკაცის მეგობრობა „ვეფხისტყაოსანში“

რუსთაველის პოემის უპირველესი ზნეობრივი ღირებულებები: მეგობრობა, მიჯნურობა, მოყვასისთვის თავდადება და ერთგულება დღესაც მეტად აქტუალურია. პოემაში გაიდეალებულია ორი თანაბრად მნიშვნელოვანი გრძნობა: მეგობრობა და მიჯნურობა, რომელთა ურთიერთმიმართება ქმნის პოემის მთავარ სიუჟეტურ ხაზს.

მთავარი მოქმედი გმირი „ვეფხისტყაოსანი“, ანუ ტარიელი კარგავს გულის სწორს, ნესტან-დარეჯანს და მასთან ერთად სიცოცხლის სურვილს, სამაგიეროდ პოულობს მეგობრებს: ავთანდილსა და ფრიდონს, შემდეგში კი, მათი უდიდესი ძალისხმევითა და დახმარებით, იბრუნებს დაკარგულ სიყვარულს.

„სამთა გმირთა მნათობთა“ კავშირს რუსთაველი „მოყვრობას“, ანუ მეგობრობას უწოდებს. სანიმუშოა მათი ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც ეფუძნება „ურთიერთშეცნობასა“ და „ურთიერთმოწონებას“, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რუსთაველის „მოყვრობა-მეგობრობა“ არ შემოიფარგლება მხოლოდ მამაკაცთა შორის არსებული ურთიერთობით, პოემაში არანაკლებ მნიშვნელოვანია ქალისა და კაცის მეგობრობა, კერძოდ, ტარიელისა და ასმათის და-ძმობა.

რუსთაველმა, ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში, ქალი და მამაკაცი უფლებრივად გაათანაბრა და თამამად განაცხადა – „ლეკვი ლომისა სწორია“. პოემის ქალებს შეუძლიათ ქვეყნის მართვა, ისინი ძლიერები, ერთგულები გამტანები და სამაგალითონი არიან. მათ გამო სისხლის ცრემლებს აფრქვევენ ისეთი ლომგული ვაჟკაცები, როგორებიც არიან ტარიელი და ავთანდილი. სწორედ ეს ქალები აღვივებენ მათ რაინდულ სულისკვეთებას. როგორ წარიმართებოდა ტარიელის ცხოვრება, ასმათის დახმარების გარეშე, არავინ იცის. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ავტორმა გამიჯნურებული ტარიელის გვერდით მაინცდამაინც ასმათს, ქალს მიუჩინა ადგილი. პოემიდან ცნობილია, რომ ტარიელს ინდოეთიდან, ნესტანის საძებნელად, თან მიჰყავს ას სამოცი კარგი მოყმე, საბოლოოდ კი ის და ასმათი გამოქვაბულში მარტოები, ერთმანეთის პირისპირ რჩებიან, საიდანაც იწყება მათი და-ძმური ცხოვრება.

ასმათი თავიდანვე დიდ დახმარებას უწევს გამიჯნურებულ წყვილს: ნესტანსა და ტარიელს. იგი ნესტან-დარეჯანის ერთგული მსახურია, მისი გაუჩინარების შემდეგ კი ტარიელთან ერთად მიდის ინდოეთიდან და გვერდიდან აღარ სცილდება. ასმათის მსახურად მიჩნევა, ვფიქრობ, გამართლებული არ არის, რადგან მისი დამოკიდებულება ტარიელთან და ნესტან-დარეჯანთან პატრონისა და ყმის ურთიერთობას ბევრად სცილდება. ასმათი ყოველგვარი სარგებლის მიღების გარეშე აკეთებს მათთვის ყველაფერს. მან რამდენჯერმე თქვა უარი სარგებლის მიღებაზე, პირველად მაშინ, როცა ტარიელს ნესტანის მიერ მიწერილი წიგნი მიუტანა – ტარიელი მას უამრავ რჩეულ ოქროს სთავაზობს, ის კი მხოლოდ ერთ ბეჭედს იღებს, იმასაც მხოლოდ სიმბოლურად, როგორც საჩუქარს მეგობრისგან. მეორედ ნესტან-დარეჯანის პოვნის შემდეგ ეუბნება უარს ტარიელს, როცა ის ერთ სახელმწიფოს სთავაზობს და ეუბნება, ვინც უნდა იქმროს და მისგან ნაჩუქარ სახელმწიფოს უპატრონოს. ასმათი არც ამჯერად იღებს მეგობრისგან სამსახურის სანაცვლოს, რადგან მისი მეგობრობა უანგაროა. იგი მზად არის მეგობრების გამო ყველაფერი გააკეთოს, სანაცვლოდ არაფერი უნდა. მისი მეგობრობა ნდობაზე, ერთგულებასა და სიყვარულზეა დაფუძნებული. ასმათი მზად არის საკუთარი სიცოცხლე შესწიროს ტარიელის მეგობრობას. შეგახსენებთ ეპიზოდს, როგორ ემუქრება გონებაარეული ავთანდილი ასმათს, ყელზე დანის მიბჯენამაც ვერ გატეხა ქალი და გაშმაგებულ ავთანდილს შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

„ჩემი სიკვდილი შენ ჩემად პატიჟად ნურად გგონია
მით რომე დამხსნი სიკვდილსა, შემშრების ცრემლთა ფონია“.

ასმათი მზად არის მოკვდეს მეგობრის გამო, ავთანდილს არწმუნებს, რომ არაფრად უღირს სიცოცხლე და არც სიკვდილის შიში აქვს. ტარიელს, თავის მხრივ, ბოლომდე ჰყავს შეცნობილი თავისი ერთგული მეგობარი და, თუ რაოდენ დიდია მისი პატივისცემა ასმათის მიმართ, რომელსაც „დას“ უწოდებს, მისი სიტყვებიდან კიდევ უფრო ცხადი ხდება. *„ესე ქალი არ დამაგდებს“* – ეუბნება ის ავთანდილს. ტარიელი დარწმუნებულია, რომ ასმათი არასდროს მიატოვებს, მის გვერდით იქნება სიკვდილამდე და სიკვდილის შემდეგაც მისი დამტირებელი და პატრონი იქნება. ასმათს შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

„მკვდარი მნახო, დამიტირე, სუნთქვა გაათანისთანე
მე სამარე გამითხარე, აქა მიწა მიაკვანე“.

მაგრამ ასმათი მასავით პესიმისტურად განწყობილი როდია, მას უდიდესი მისია აკისრია – ტარიელის ამქვეყნისაკენ შემობრუნება. ასმათი მასთან ერთად ღვრის ცრემლებს, ტირის მასთან ერთად და მის გარეშეც , მის გამო, მაგრამ როდი ყრის ფარ-ხმალს, იგი ტარიელს მუდმივად ბრძოლისკენ, მოქმედებისკენ უბიძგებს. მხოლოდ მისი მესაიდუმლე კი არ არის, მისი ჭირის თანაზიარია. ასმათი ბრძენი ქალია, იცის, რომ ტარიელს დახმარება, გვერდით მეგობარი სჭირდება. არწმუნებს მას, რომ მარტოსულად, ეულად ყოფნა არაფერს არგებს:

„არას კაცსა არ იახლებ საუბრად და შემაქცევრად,
მას მაგითა ვერას არგებ, დღეთა შენთა ცუდად ლევ რად“.

ასმათმა უდიდესი გონიერება გამოავლინა, როდესაც ავთანდილისა და ტარიელის შეხვედრა დაგეგმა. მას კარგად ჰყავს შეცნობილი თავისი მეგობარი, იცის რომ ტარიელს წინასწარ შემზადება სჭირდება, რათა შესაფერისად მიიღოს ავთანდილი. სწორად გათვალა შესაძლო შედეგიც, ავთანდილი გაიცნო და მიხვდა, რომ საჭირო კაცი იყო და მას შეეძლო ტარიელის დახმარება. ასმათის გამჭრიახობამ შედეგი გამოიღო – ავთანდილი და ტარიელი დაამეგობრა. ვფიქრობ, ასმათმა ეს ყველაფერი არა ავთანდილისთვის, არამედ ტარიელისთვის გააკეთა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ დახმარებას უწევს იგი ავთანდილსაც. ასმათი, უპირველეს ყოვლისა, ტარიელის მეგობარია და მისი ბედნიერებისთვის იბრძვის, რაც კიდევ ერთხელ ხდება ცხადი ეპიზოდში – როგორ ეხვეწება იგი ავთანდილს მალე დაბრუნდეს მათთან.

ასმათი რომ მისთვის და არის, ამას არაერთხელ უსვამს ხაზს ტარიელი. მისთვის მეგობარი მეგობარია და არ აქვს მნიშვნელობა ქალი იქნება თუ კაცი, მის შემდეგ სიტყვებში იკითხება:

„ვინცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იდოს,
ხამს, თუ მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დარიდოს“.

ტარიელი მზად არის, თუ საჭირო იქნება, თავი გასწიროს ასმათისთვის. მას უყვარს და ებრალება ასმათი და სწორედ მისი არსებობა ხდება მისი სიცოცხლის მიზეზი: *„ვა შენი ბრალი, დავ, თვარა სიკვდილი ჩემი ლხინია“* – ეუბნება იგი ასმათს, რადგან მიიჩნევს, რომ ამქვეყნად აღარაფერი დარჩენია, გარდა მუდმივად მომლოდინე ასმათისა. ტარიელი მიდის გამოქვაბულიდან და ასმათმა არასდროს არ იცის, უკან დაბრუნდება თუ არა. მისი ყოველი დაბრუნება ასმათისათვის უდიდესი ბედნიერებაა, რასაც მათი შეხვედრისა და განშორების სცენებიც მოწმობს. მათი შეხვედრა სიხარულითაა აღსავსე, ხოლო განშორება – უდიდესი მწუხარებით.

მუდმივად მეგობრის მომლოდინე ასმათი ტარიელს დაკარგვის უფლებას არ აძლევს. ეს არ არის მხოლოდ ფიზიკური ლოდინი, უფრო ღრმა სულიერი ტკივილით აღსავსე მოლოდინია. ტარიელის დაკარგვა ასმათის დაკარგვას ნიშნავს, რადგან ასმათი მისი ცხოვრებით ცხოვრობს და ბოლომდე მის გვერდით რჩება. ტარიელმა იცის, რომ ასმათის მსგავსი მეგობარი მეორე არ არსებობს, იგი მას შემდეგ სიტყვებს ეუბნება: *„რაცა შენ ჰქმენ, არ უქნია არ გამზრდელსა, არცა ზრდილსა“.*

ტარიელი სულ ცდილობს, სიკეთე სიკეთით გადაუხადოს, მაგრამ ასმათისთვის ერთადერთი სიკეთე და ბედნიერება არსებობს – ტარიელის ბედნიერებით გახარება. სწორედ ეს გახდა შუსაუკუნეების უმთავრესი საფიქრალი, მთავარი საზრისი – სხვისი სიხარულით გახარება, „სხვათა გახარება“ იმისთვის, რომ შემდგომ შენც გაიხარო.

ქართულსა თუ მსოფლიო ლიტერატურაში სანიმუშო მეგობრობის არაერთი მნიშვნელოვანი და ღირებული ნაწარმოები შექმნილა, მაგრამ რუსთაველი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ქალისა და მამაკაცის მეგობრობით ახალი სიტყვა თქვა მწერლობის ისტორიაში, რაც რენესანსის ეპოქის ერთ-ერთ ხმამაღალ გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ. რუსთაველმა ქალის და კაცის, მანამდე უცხო, წმინდა და-ძმური სიყვარულის მოწმეები გაგვხადა და უმაღლეს ზნეობრივ იდეალებს გვაზიარა.

ოლია მათიკოშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და
ლიტერატურის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტი

ინფორმაცია

STEM – საგანმანათლებლო სისტემაზე დაფუძნებული კურსები

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოსწავლეებმა საინჟინრო ტექნოლოგიების, პროგრამირებისა და მათემატიკის მიმართულებით შექმნილი საკუთარი პროექტები წარმოადგინეს. პრეზენტაციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური**, ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი **არჩილ ფრანგიშვილი** და პროექტში ჩართული სკოლების წარმომადგენლები დაესწრნენ. გამოყენებით ოპტიკაში, ელექტროობასა და მაგნეტიზმში შექმნილმა პროექტებმა, მოსწავლეების მიერ დამზადებულმა საგანმანათლებლო რობოტოტექნიკამ და მათმა პროგრამირებამ აუდიტორიის დიდი მოწონება დაიმსახურა.

მოზარდებმა პროექტები, STEM (Science, Technology, Engineering, Mathematics) – საგანმანათლებლო სისტემაზე დაფუძნებული კურსების ფარგლებში, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნეს. აღნიშნული კურსები სკოლებსა და ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტს შორის აქტიური თანამშრომლობით ხორციელდება. კურსებს ვირტუალური მოდელირების ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი **დავით სონღულაშვილი** და ფიზიკის დეპარტამენტის წარმომადგენლები უძღვებიან.

კლასგარეშე კურსი STEM-ით დაინტერესებულ მოსწავლეებს ხელნაკეთი ლაბორატორიების, საბუნებისმეტყველო საგნებისთვის ელექტრონული რესურსებისა და ვიზუალურითვალსაჩინო მასალის შექმნაში ეხმარება. გაკვეთილებზე მოსწავლეებს, თეორიული ცოდნის გაღრმავებასთან ერთად, მისი პრაქტიკული გამოყენების თვალსაჩინოდ ნახვის საშუალება აქვთ, რაც მათში საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლის მოტივაციას ამაღლებს და ზრდის ინტერესს ინოვაციური სამეცნიერო ტექნოლოგიების მიმართ.

ლია გიგაური: *„ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა, მათი მხარდაჭერა, ციფრული სამეცნიერო ტექნოლოგიებით დაინტერესება განათლების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ასეთი პროექტები, სხვადასხვა კონკურსები მნიშვნელოვნად განაპირობებს მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებას, მათი მოტივაციის შექმნას, უკეთ ისწავლონ საბუნებისმეტყველო საგნები, რაც მთავარია, პრაქტიკაში მათი მოქმედების დიაპაზონის გაფართოებას. ძალიან მნიშვნელოვანია, ამ მიმართულებით, სკოლებს შორის თანამშრომლობა. დღევანდელი პრეზენტაციები სწორედ ასეთი თანამშრომლობის მაგალითია – როგორ დავაინტერესოთ მოსწავლეები საბუნებისმეტყველო საგნებით, ჩავრთოთ სხვადასხვა პროექტებში და, რაც მთავარია, თითოეულ მოსწავლეს სჯეროდეს, რომ სწორედ ის არის ახალი მსოფლიოს, ახალი ტექნოლოგიების შემქმნელი და მისი გამოგონება აუცილებლად გამოადგება მომავალ სამყაროს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია მოტივაციის შესაქმნელად და სწავლის მიმართ ინტერესის გასაღვიძებლად“.*

დავით სონღულაშვილი: *„პროექტის მიზანია, პირველ რიგში, სკოლის მერხიდან გავზარდოთ ისეთი ბავშვები, რომლებიც, მომავალში, ჩვენი სტუდენტები გახდებიან, ანუ შევაჩვიოთ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას, პროექტების შექმნას, აზროვნებას. ამიტომ ფორმდება მემორანდუმი სკოლებთან, შემდეგ ჩვენ ვმუშაობთ ამ ბავშვებთან და ისინი დამოუკიდებლად ქმნიან პროდუქტს. ახლა რაც ნახეთ, ეს მათი შექმნილი რეალური პროექტებია, რომლებიც უკვე ფუნქციონირებს. ყველაფერი ეს ინოვაციურ ტექნოლოგიებსა და თანამედროვე მიღწევებზეა დაფუძნებული“.*

ეკატერინე სლოვინსკი, მათემატიკის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიმართულების ხელმძღვანელი, ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი: *„ბატონი დავით სონღულაშვილის მიერ შექმნილი პროგრამა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მოსწავლეები კონკრეტული პროდუქტების შექმნის თანამონაწილეები ხდებიან – ერთი მხრივ, ეზიარებიან თანამედროვე ტექნოლოგიებს და, მეორე მხრივ, თვითონ არიან ჩართული სწავლის პროცესში. თავისთავად ეს პროექტი მოსწავლეებს შემოქმედებითი უნარების გამომუშავებისკენ და გარკვეული ტიპის პრობლემების გადაჭრისკენ უბიძგებს. ცალკეა აღსანიშნავი თვითონ ბატონი დავითის მონაწილეობა, მისი როლი, თუ როგორ შემოქმედებითად უდგება სწავლების პროცესს და როგორ უდგას მხარში ამ მოსწავლეების განვითარებას. ყოველ ჯერზე, როდესაც ვხვდებით, მის ამ დიდ წამოწყებას ახალი იდეები და ახალი პროექტები ემატება.*

ძალიან მნიშვნელოვანია თავისთავად ამ პროექტისა და ისეთი ინსტიტუციების არსებობა, რომლებიც მსგავს ადამიანებს მხარში დაუდგებიან და ხელს შეუწყობენ მათ იდეების რეალიზებაში. ამ შემთხვევაში, ტექნიკური უნივერსიტეტისა და ბატონი დავითის თანამშრომლობის შედეგად ძალიან მნიშვნელოვანი საქმე კეთდება. ყველაზე სასიხარულო ალბათ ის არის, რომ აღმოჩნდნენ სკოლები, რომლებიც მზაობას გამოთქვამენ, მიიღონ ეს იდეები, დანერგონ სკოლაში და ხელი შეუწყონ მ ძალიან საინტერესო პროექტების მოსწავლეებამდე მიტანას და

რეალიზებას. ყველა სკოლა არ არის ამისთვის მზად – არც მასწავლებლები, არც ადმინისტრაცია. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, საჭიროა ისეთი სკოლების აღნიშვნა და მათი მზაობის დაფასება, რომლებიც ხელს უწყობენ ტექნოლოგიურ პროექტებში მოსწავლეების ჩართვას“.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექტორი ნელი საბიაშვილი-აფციაური და პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა ამავე სკოლის მათემატიკის სერტიფიცირებული პედაგოგი

დონარი ოზბეთელაშვილი

და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის 1984-85 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები მწუხარებით იუწყებიან თანაკურსელის, შესანიშნავი მეგობრის

დონარი ოზბეთელაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის მშობლებს – ქალბატონ მზიას, ბატონ ოთარს (ოქროს) და დას – ლალი ოზბეთელაშვილს.

მიმდინარეობს ხელმოწერა

შეავსეთ სკოლის ბიბლიოთეკა

ქართველი მწერლების ნაწარმოებებით

ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული)
I-VI ტომი – 11 ლარი
მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული)
I-VII ტომი – 12 ლარი
ედიშერ ყიფშიანი (2-ტომეული)
I-II ტომი – 15 ლარი
კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული)
I, VI, VII, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი,
II, IV-V ტომი –18 ლარი
რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული)
I-VI ტომი – 14 ლარი
ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული)
I-VII ტომი –12 ლარი
გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული)
I-V ტომი – 12 ლარი
ოტია იოსელიანი (10-ტომეული)
I, III, IV, V, VI, IX, X ტომი – 12 ლარი
თამაზ ჭილაძე (6-ტომეული)
I-VI ტომი – 10 ლარი
გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული)
I-V ტომი – 14 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითთოეული კრებულის ფასი – 12 ლარი

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

10 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

ავტომობილი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ახსნილი და აუხსნელი
ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
უძველესი ადამიანები
მათემატიკა
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი



რა არის რა

მთავაზობთ 10 ტომს ენციკლოპედიების სერიიდან „რა არის რა“ სპეციალურ ფასად.

თითო ტომს, 12 ლარის ნაცვლად, 9 ლარად მიიღებს.

ამინდი

არქიტექტურა

კრიმინალისტიკა

ჯანსაღი კვება

მთები

ოლიმპიური თამაშები

მეკობრეები

ქიმია

ხალხთა დიდი გადასახლება

მეცნიერებები

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

თემატური პლაკატები

დაწყებითი კლასებისთვის

(42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. ჰიგიენის ნივთები
9. საოჯახო ნივთები
10. ტრანსპორტი
11. ზღვის ბინადრები
12. ტანსაცმელი
13. ხილი
14. ბოსტნეული
15. ჩემი სხეული
16. ფორმები
17. რიცხვები
18. რის შვილს რა ჰქვია
19. მწერები
20. ამინდი
21. მცენარეები
22. საპირისპირო ცნებები
23. ქალაქში
24. სოფელში
25. სპორტის სახეობები
26. ზღაპრის გმირები
27. ჩემი საქართველო
28. ქართული ანბანი
29. ინგლისური ანბანი
30. რომელი საათია

ფასი – 2.90 ლარი

მაღალი კლასებისთვის

(59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინებები
11. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ფასი – 4 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

მწერალთა პორტრეტები

(34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით ალმაშენებელი

4 ლარი

რეპროდუქციები

1. **ჰორაციუსთა ფიცი,** ჟაკ-ლუი დავიდი
2. **მწყემსთა თაყვანისცემა,** დომენიკო გირლანდაიო
3. **ადელ გლოს-ბაუერის პორტრეტი,** გუსტავ კლიმტი
4. **მენინები,** დიეგო ველასკესი
5. **დელფოსელი სიბილა,** მიქელანჯელო
6. **მხატვრის ბაღი,** კლოდ მონე
7. **უკლები შვილის დაბრუნება,** რემბრანდტი
8. **საძანელა,** ოგიუსტ რენუარი
9. **საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე,** ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

მსოფლიო კლასიკოსები

მკვდარი სახლის ჩანაწერები, თეოდორე დოსტოევსკი
ცოლთა სკოლა, ანდრე ჟიდი
გზა ელიტისკენ, ჯონ გრეინი
რჩეული მოთხრობები, ნიკოლოზ გოგოლი
ტალღებზე მორბენალი, ალექსანდრე გრინი
ტკბობა, გაბრიელე დანუნციო
დედაჩემი, ალბერ კამუი
კავკასია, ალექსანდრე დიუმა
ჯონ კიხოტის დაბრუნება, გილბერტ კით ჩესტერტონი
დროის ინსტიტუტი, აჰმედ ჰამდი ტანტინარი
ეფი ბრისტი, თეოდორ ფონტანე
ილელი ვენერა, პროსპერ მერიმე
კავკასიური მოთხრობები, ლევ ტოლსტოი
კვარტერონი, მაინ რიდი
ლორდ ჯიმი, ჯოზეფ კონრადი
მადამ ბოვარი, გუსტავ ფლობერი
სპარსული წერილები, შარლ ლუი დე მონტესკიე
მუუთმენლობა გულისა, შტეფან ცვაიგი
მოწყენილობა, ალბერტო მორავია
ორი რომანი, მიგელ დელიბესი
პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, ვიქტორ ჰიუგო
მოთხრობები, ალექსანდრე პუშკინი
რჩეული მოთხრობები, ჯონ გოლზუორთი
სატანის ელექსირები, ერნსტ ჰოფმანი
საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან, მარგერიტ დიურასი
ძალთა ბედნიერება, ემილ ზოლა
ღამეული გართობა, რაფაელ საბატინი
წითელი და შავი, სტენდალი
ძრელი საბურველი, სომერსეტ მოემი
ჯაშუში, ჯეიმზ კუპერი
ლიხტენშტაინი, ვილჰელმ ჰაუფი
ჰუსარი სახურავზე, ჟან ჟიონო

თითოეულის ფასი – 15 ლარი

თოვლიანი მთა

ეძღვნება 2015 წლის 13 ივნისის ტრაგედიას

სანდრო ლომიძე
თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის V კლასის მოსწავლე, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის „ცეროდენა კალმოსანთა“ კლუბის წევრი

პატარა, კოხტა სოფელში, ლურჯთვალება იების ფარდაგზე წამომჯდარიყო თეთრწვერა მთა. ზემოდან დაჰყურებდა აბიბინებულ მინდორს. ღრუბლებს მაღლა თავი სამყაროს მბრძანებლად მიაჩნდა. გადმოხედავდა კეკლუცად მოჩხრიალე ნაკადულს და თავისი სილამაზითა თუ მედიდურობით ტკბებოდა. ხანაც საათობით შეჰყურებდა მის ანარეკლს ანც მდინარეზე, კანტივით რომ მოსდევს იისფრად შეფერილ მინდორს. ზოგჯერ ქარი მშვენიერ თმებს უწეწავდა. ამაზე მთა განრისხდებოდა, აქაოდა, როგორ გამიბედაო. ერთსაც დაიზმუვლებდა, მშვენიერ ხეებს რკალად გადმოხრიდა, შემდეგ კი გაჩერდებოდა, ქედმაღლურად დაჰხედავდა მის წინ გადაშლილ ველს, ხეებს დაამშვიდებდა და ანც ქარს აინუნშიც არ ჩააგდებდა.

ერთ დღეს მთამ ველზე პატარა გოგონა შენიშნა. ნაზი სიო თხლად ჩამოშლილ თმებს უწეწავდა. ცისფერი კაბა ეცვა გოგონას. შავი კულულები საყვარელ სახეს უმშვენებდა. გზადაგზა იებს წყვეტდა. მზის სხივები გოგონას აწეწილ თმებში ჩაწნულიყვნენ. ჰაერივით დანარნარებდა იების მინდორზე. თითქოს მიწას არც კი ეხებოდა. პატარა, ქულა ღრუბლები კი შარავანდედებად დაჰყვებოდნენ გოგონას. თითქოს უნდოდათ ყოველ წამს გოგონას მშვენიერების ხილვა. ხანდახან მოჩუხჩუხე მდინარეში ჩაიხედავდა ამ დროს კი მთა ამაყობდა. არა იმიტომ, რომ ასეთი მედიდური და ლამაზი იყო, არც იმიტომ, რომ ის მშვენიერი მინდორი, თითოეულის მზერას რომ იპყრობდა მისი საბრძანებელი გახლდათ (ყოველ შემთხვევაში მთა ასე ფიქრობდა). იგი ამაყობდა, რომ მდინარეში გოგონას მშვენიერების ფონად სწორედ თავის ანარეკლს ხედავდა. გოგონას მოსწონდა თეთრწვერა ბაბუ, მედიდურად წამომჯდარი ტრიალ მინდორზე. მთისთვის გოგონა მეგობარი იყო. როდესაც მთა რაღაცაზე გაბრაზდებოდა, გოგონას მოცინარი სახე ამშვიდებდა. მთაც გაუღიმებდა გოგონას და სახეგაბადრული ჩამოჰხედავდა პატარას. მთას არასდროს ჰყოლია ნამდვილი მეგობარი. ალბათ იმიტომ, რომ არცერთი სულიერი არ მიაჩნდა ამ პატივის ღირსად. იშვიათად თუ ეწვეოდა ადამიანი. ისიც ჩანთამოკიდებული აუყვებოდა მთის ფერდობებს, გადმოხედავდა ველს, შემდეგ კი კვლავ უკან დაუყვებოდა ბილიკს და დაშორდებოდა. თუმცა არცერთი არ მოდიოდა მასთან ყოველ დილით, გამთენიისას. ყველას მხოლოდ მისი სიდიდე და სილამაზე მოსწონდა. თუმცა არცერთი არ ინტერესდებოდა მისით, როგორც ბუნების გიგანტური შვილით. მხოლოდ ერთმა, მხოლოდ ერთმა მიიღო მთა არსებად. მხოლოდ ერთი დაუმეგობრდა მას. მთამ მისი სახელი არ იცოდა, თუმცა, არც სჭირდებოდა. ის მისთვის უბრალოდ პატარა გოგონა იყო. ზოგჯერ იგი თბილისში წავიდოდა. მთა კი მოუთმენლად ელოდა გოგონას დაბრუნებას. არც მის ანარეკლს დაჰყურებდა, არც ქარის სიცელქეზე არ ბრაზდებოდა, ყოველ დილით ჩამოიხედავდა მინდორზე. თუმცა ამ მინდორს მისთვის რაღაც აკლდა, რაღაც ძალიან თბილი, ძალიან ლამაზი.

დადგა 2015 წლის 14 ივნისი. თბილისში დიდი ტრაგედია დატრიალებულიყო. მრავალი ადამიანი სამუდამოდ მიძინებულიყო სისხლით მორწყულ მიწაზე. ერთ დანგრეულ სახლთან პატარა გოგონა იწვა. გარს ხალხი ეხვია. მათ მამაკაცი გამოეყო და გულნაკლულმა სევდანარევი ხმით სხვებს გაუცხადა:

– მკვდარია.

შავი კულულები და წითელი ტუჩები ჰქონდა გოგონას. თვალები საყვარლად ჰქონდა დახუჭული და მშვიდად მისვენებულიყო მიწაზე.

სოფელში, იებით მოჩითულ ველზე კი მთა ნერვიულად ელოდებოდა გოგონას. ბოლოს ყველაფერში გაერკვა და ჩუმად აქვითინდა. მისი ცრემლები კი ნიაღვრად მოედინებოდნენ მთის მედიდურ კალთებზე.

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ქართული ენის კრებულები

სერიის ფასი – 17.70ლ

ერთიანული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით. წიგნებში მოცემულია: სახალისო აქტივობები, მარტივი ინსტრუქციები, ასაკისთვის შესაბამისი ენით დაწერილი საბავშვო ტექსტები, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელსა თუ მშობლებს, განუვითარონ ბავშვებს წერის, კითხვისა და მეტყველების უნარ-ჩვევები.

სერიის ფასი – 30.40ლ

წიგნის თარო

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ Facebook გვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

გაიმეორეთ თეორიული მასალა ამ წიგნის მიხედვით და მოაწყვეთ საატესტატო გამოცდების სიმულაცია სახლში!

კრებულის ფასი – 9.90ლ

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK